

1
K 222.00
2



640

ა. ვ. ჭ.

634

019-ზასიანი გამოცემა

307

სტეფანე პონსტანტინეს-ძის ზუბალაშვილის საფასით, № 17.

808

634
6985

საუნდო გიურისძე

ანუ

მაკლია, მარქენა და გამოცემება
უნგელ-ვარ ხეხილებისა, და ხებისა.

ათ. უ არ ეჭია შვილისა.



თბილისი.

1903

ელექტრონის სტამბა ძმ. თავართვილაძეებისა, სერგიევის ქ. № 1.

1957.

საუნდე მეურნისა

ა. ნ უ

მოვლა, მოუენება და გამოცენება უოველ-გვარ
ხესილებისა და ხეებისა.

დიდი დრო არ გასულა მას აქეთ, რაც მთავრობამ ჯე-
როვანი ყურადღება მიაქცია მეურნეობის გავრცელებას. ეხლა
მთელ რესეტის სახელმწიფოში დაწყეს სამეურნეო სკოლების
და განყოფილებების დაარსება. აქედან სჩინს, რომ ჩვენს
მდიდარ ქვეყანაში მეურნეობამ წინ უნდა წაიწიოს, მაგრამ
მეურნეობის წინ წასაწევად ჩვენში საჭიროა, რომ საქართვე-
ლოშიაც გამოიცეს სამეურნეო უურნალ-გაზეთები და წიგნები რა
თქმა უნდა იაფუფასიანები, რომ მდაბიო ხალხისათვისაც ხელ-
მისაწდომი იყოს. როდესაც სამეურნეო გაზეთებს ან წიგნებს
ნაკლები ფასი ექნება, მაშინ მას მკითხველიც მოემატება. მარ-
ტო ამ ღონისძიებით შეიძლება მეურნეობამ ჩვენშიაც ისეთივე
ადგილი დაიჭიროს, როგორიც, მაგალითად, გერმანიაში, საფ-
რანგეთში, ჩინეთში და სხვა საზღვაო-გარეთ ქვეყნებში უჭირავს.
ამ ქვეყნებში იმდენად არის გახშირებული სამეურნეო უურ-
ნალ-გაზეთები და წიგნები რომ ყველა უბრალო მუშას ეძლევა
შემთხვევა ყოველ დღე გაზეთების კითხვისა, რისგამოც იქ, რო-
გორც მდაბიო, ისე მაღალ წოდების ხალხში, თანასწორედ მის-
დევნ მეურნეობის გავრცელების მიზანს. თქმა არ უნდა, რომ
ამისთანა ხალხში მეურნეობას ყოველთვის ეჭირება უმაღლესი
ადგილი, ვიდრე ჩვენს საქართველოში. მეურნეობა არის იმის-
თანა საგანი, რომ ორს და სამ პირს არ შეუძლიანთ ამ საქმის

განზორციელება. აქ საჭიროა, რომ ყველამ მოჰკიდოს ხელი-ხელს და ერთმანერთის რჩევით და შველით დაადგნენ მიზანს და შეასრულონ ის მოთხოვნილება, რაც საჭიროა მეურნეობის გავრცელებისათვის, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს საქართველოში გავრცელებული ის სენი, რომ ვინც შეუდგება კეთილ საქველ-მოქმედო საქმის გაკეთებას, იმას, დახმარების მაგიერ, ხელს უშლიან საქმეში. ამით ყველა მშრომელ კაცს ეკარგება ხალისი და სურვილი მოქმედებისა, მაგრამ როდესაც ჩვენ მივბაძეთ სახლვარ-გარეთის ხალხს, მაშინ ჩევნშიაც უკეცველია მოისპობა ამისთანა მავნებელი და ხალხის დამაქვეითებელი სენი. ამ წიგნით დღეს მე მსურს მივაწოდო ქართველ მკითხველებს სამეურნეო ცნობები შესახებ ყველა გვარ ხეხილებისა და ხე-ებისა.

მცენარეები იყოფებიან ოთხ რიგად: 1) ნახევარ ბუჩქე-ბად, 2) ბუჩქებად, 3) ნახევარ ხეებად და 4) ლიდრონ ხეებად.

ნახევარ და ბუჩქიან მცენარეებს ეკუთვნიან იმისთანა მცენარეები, რომლებიც ამოიხეთქავენ ხოლმე ძირიდამ მრავალ ტოტებს; ნახევარ და ლიდრონ ხეებს კი ეკუთვნიან იმის-თანა მცენარეები, რომლებსაც მიწის პირიდამ ამოაქვთ მარტო ერთი ღერო (სტვოლ, შტამბა) და ერთი ანუ ორი არშინის სიმაღლიდამ შეიმოსება ხოლმე ტოტებით.

ნახევარ-ბუჩქები.

ნახევარ ბუჩქებიან მცენარეებს ეკუთვნიან: კრუეონიკი, მოცხარი და უოლო.

კრუეონიკი (Крыжовникъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანერთში ნაყოფით, ფერით, სიმსხოთი, დამშიფების დრო-თი, ფოთლებით, გელებით და მცენარის აგებულობით. კრუეონიკი გვარობს ყველგან, ყველა ნიადაგზე, სხვა მცენარესავთ ნაზი არ არის, უყვარს ნოტიო და ჩრდილიანი აზგილები, ხმელი



და ცხელი ადგილები ეჯავრება, რისგამოც ცხელს ადგილებში
ხევბს ქვეშ უნდა დაირგას და ხშირად მოირწყას. მისი ყლორ-
ტები შემოსილია ეკლებით, ჰყავის მწვანე-წითელ ფრად, მისი
ყვავილით სარგებლობს ფუტკარი, ნაყოფი მწიფდება მაისში
და თიბათვეში, ცივ ადგილებში კი უფრო გვიან. მისი ნაყო-
ფით ამზადებენ: მურაბას, ჟელეს, ღვინოს, ხდიან არაც და
აკეთებენ სხვა და სხვა სასმელებს. მრავლდება: თესლით, პა-
ტარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით და ფესვების გაყოფით
შემოდგომასა და გაზაფხულზედ, ხოლო ნამყენებით მარტო
გაზაფხულზედ—მარტში და აპრილში.

მოცხარი (Смородина).

ოც-და-რვა ჯურისაა; მათში თორმეტი ჯურა წითე-
ლია, ორი ჯურა ვარდის ფერისა, ოთხი ჯურა თეთრია,
ორი ჯურა მოჭრელოა და რვა ჯურაც შავია; ეთ-
ლო გვარობს ყველა ნიადაგზე: მთებში, ტყეებში და
სეხილის ბაღებში, მაგრამ უყვარს ნოკიერი და ნოტიო
ადგილი. დიდს ჩრდილში კარგად ვერ გვარობს; ყვავის ყვი-
თლად; მისი ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. მცენარე ნა-
ყოფიერია, ასე რომ მთელი მისი ტოტები შემოსილია პატარ-
პატარა მტევნებით. რიგიანი მოვლით კაცს შეუძლიან მიიღოს
მსხვილი თხილის ოდენა ნაყოფი. ერთ და იგივე მცენარეზე
იმყოფება დედალი და მამალი ყვავილი. ნაყოფი მწიფდება
მაისში და თიბათვეში. მისი ნაყოფით ამზადებენ: მურაბას,
ჟელეს და სხვა და სხვა სასმელებს. მრავლდება: თესლით,
პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით და ფესვების გაყოფით
შემოდგომასა და გაზაფხულზედ, ხოლო ნამყენებით კი
მარტში და აპრილში.

მოლო (Малина).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, მათში რვა ჯურა საზაფ-



ხულოა *), სამი ჯურა თეთრ ანუ ყვითელ ნაყოფიანია, გა საზაფხულოა და ხუთი ჯურა კი წითელია — თვიური. ქოლო სხვა მცენარესაცით ნაზი არ არის, გვარობს ყველა ნიაღაგზე: მთებში, ტყეებში და ბალებში, უყვარს ნოტიო და ჩრდილოვანი აღგილი, ხმელ და ცხელ აღგილებს ვერ იტანს, რისგამოც ცხელს აღგილებში მაღ-მაღ უნდა მოიჩრენა.

ქოლოს მოაქვს ნაყოფი ერთ წლოვან ყლორტებზე, ჰყვავის თეთრად, ფოთლები გარეშემო ცოტათი ეკლიანი აქვს, ზემოთა მხარე მწვანე ფერისა, ქვემოთა მხარე კი მოთეთრო ფერისა, ამასთან შემოსილია წვნიკი ბუსუსით. მისი ნაყოფით აშადებენ: მშვენიერს მურაბას, უელს, ლვინოს, ძმარს და ხდიან არაყს, მაგრამ ყველაზე სასარგებლო იმით არის, რომ მისს გამხმარ ნაყოფს ხმარობენ ჩაის მაგიერ გაციების წინააღმდეგ და ოფლის მოსადენად. მრავლდება: პატარ-პატარა ტოტებით, თესლით **) და ფესვების გაყოფით — შემოდგომასა და გაზაფულზე.

ნახვარ-ბუჩქიანების დარგება და მოვლა.

ზემოთ აღწერილ მცენარეების გადარგვა შეიძლება შემოდგომასა და გაზაფხულზედ, მხოლოდ ცივს ქვეყნებში სჯობია გაღირგის გაზაფხულობით, ცხელს ქვეყნებში კი შემოდგომით. მცენარეების გადარგვამდის ერთი თვით, ანუ სამი კვირით წინ უნდა მომზადეს ორმოები, სამი ჩარექი სიგანით და ნახევარი არშინი ანუ ათი ვერშოკი სილრმით. დარგვის დროს ძირში უნდა ჩაეყაროს დამიწებული სასუქი ანუ ტყის

*) საზაფხულო ქოლო ირჩევა თვიურ ქოლოდამ იმით, რომ პირველს მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთხელ მოაქვს ნაყოფი, ხოლო მეორესკი შემოდგომამდის ორჯელ ან სამჯერ მოაქვს ნაყოფი.

**) თესლი სჯობია გაზაფხულამდისინ შენახოთ ქვიშაში და გაზაფხულზე დაითესოს; პროფესორი ლენდეი ამბობს, რომ თესლი, მიწაში ღრმად შენახული, ინახება ათას შვიდას წლამდისაო, არც უფუძლება ღივი და არც ჰყარგავს ღირსებასაო.



მიწა. როდესაც ორმოს ნახევრამდის მოჰყრით მიწით, მაგრა
მიწა კარგად უნდა დაილახოს ფეხით, რომ ფესვებს შეუ არ
დარჩეს ცარიელი აზგილი და შიგ არ დაგუბდეს წყალი, რო-
მელსაც შეუძლიან დაულპოს მცენარეს მწოვარა ჩინჩლა ფეს-
ვები. მცენარის დარგვის შემდეგ გარეშემო უნდა გაკეთდეს
პატარა ორმოები, რომ მორწყვის დროს წყალი არ დაიღვა-
როს აქეთ-იქით. მთელის ზაფხულის განმავლობაში მცენარეებს
გარეშემო თოხით უნდა აეჩილოს მიწა, გაიმარგლოს ან გაი-
თოხნოს ბალახი, და როდესაც საჭიროება მოითხოვს, უნდა
მოირწყას. შემოდგომით და გაზაფხულობით კი ყოველ წლივ
უნდა გაისხლას. მცენარეების გასხვლას ის მნიშვნელობა აქვს,
რომ ჯერ ერთი, მცენარეებს ემატებათ სანაყოფო ტოტები
და მეორეც, ეძლევათ შნო და ლაზათი. ამისთანა მოვლით
მცენარეები დიდხანს ცოცხლობენ და მსხილ ნაყოფსაც იძ-
ლევიან.

ბუჩქები.

ამ რიგს ეკუთვნიან: ბროშეული, ვაზი, ზღმარტლი, თხი-
ლი, კომში, კოჭახური, კვრინჩი, ლელვი და ხომანდული.

ბროშეული (Гранатъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთ-
მანერობით გემოთი, სიმსხოთი, დამწიფების დროთი და მცე-
ნარის აგებულობით. გვარობს ყველა ნიაღაზე, უყვარს ცხელი
ქვეყნები, ცივ ქვეყნებში ვერ გვარობს, ყვავის წითლად, მისი
ყვავილი მშვენიერი სანახავია. როგორც გამძლე მცენარე, მის
მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. ნაყოფი
მწიფდება შემოდგომაზე. მისი ნაყოფით ამზადებენ უელეს და
სხვა და სხვა სასმელებს. ნაყოფის ქერქს ხმარობენ ძაფების
და კვერცხების შესახებად. მის წვენს ხმარობენ გულის რევის
წინააღმდეგ და ყელის ტკივილის დროს. გარდა ამისა ნაყოფის
დანაყილ ქერქს ხმარობენ: ციებ-ცხელების, ფალარათობის და

აღამიანის ჭიის წინააღმდეგ; ტოტების ქერქს კიდევ ხმარობენ ბეჭედის დაბახანებში ტყავების შავათ შესაღებად. ყველაზე საქებური, მსხვილი და ტყბილი ბროწეული იცის განჯის და არეშის მაზრებში. მცენარე მრავლდება: ოქსლით, პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით და ძირების გაყოფით გაზაფხულსა და შემოღვიმაზედ.

ვაზი, უშრძენი (Лоза, Виноградъ).

ათას ხუთასამდისინ სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში: გემოთი, ნაყოფის და ფოთლების ფერით და აგებულებით, სიმსხოთი, მსხმიარებით, დამწიფების, დროთი და სხვა. ამ მცენარეზე აქ მოკლეთ ვიტყვი, რადგანაც მის შესახებ ვრცლათ გამოვსცემთ სხვა წიგნს.

ვაზი გვარობს თითქმის • მთელი დედა-მიწის ზურგზე, გარდა ცივ ადგილებისა, გვარობს ყველა ნიადაგზე, მაგრამ საუკეთესო ნიადაგად ითვლებან ვაზის მოსაშენებლად, ჯერ ქვიშიანი და შერე თახიანი ნიადაგები. სადაც არ იშოვება ამისთან ნიადაგები, ვაზის გაშენება შავ ნიადაგზედაც შეიძლება. ეს მცენარე ხშირად არ უნდა მოიჩინას, სჯობია მორწყეის მაგიერ ცხენის გუთნით ან თოხით ააფხვიეროთ მიწა ვაზებს შუა. მართალია ხშირად მორწყული ვაზი თამაბად იზრდება და დიდობინ და მსხვილ ყლორტებაც უშვებს, მაგრამ ამით ნაყოფს, ე. ი. ყურძენს ემატება წყალი, სიმჟავე და ამის გამო ვერ კეთდება ღვინო ხეირიანი. ბუნება გვიჩვენებს, რომ ურწყავ ადგილებში უფრო უკეთესი ღვინო ღვება, ვიდრე ნარწყავ ადგილებში. მისი ნაყოფით აკეთდენ: ღვინოს, ძმარს, სხვა და სხვა სასმელებს, ხდიან არაყს, ამზადებენ წნილს, ჩურჩხელებს, თათარას, მურაბას, ახმობენ ჩამიჩად. მრავლდება: ოქსლით, რქით, გადაწვენით და კვირტია: გაზაფხულსა და შემოღვიმაზედ, ოღონდ ნამყენებით მარტო გაზაფხულობით — მარტში და აპრილში.

ზღვართლი (Мушмула).

ორავეარია: ბაღური და ტყისა. პირველი იძლევა მაუ-



ლოს ტოლა ნაყოფს, რომელიც, როცა დამწიფდება, მშვენიერი ჯემრიელი საჭმელია. ბალური ზღმარტლი ორ ნაირათ იზრდება—ბუჩქად და როგორც ხე. გარდა ამისა ბალის ზღმარტლს არა აქვს ეკლები, როგორც გარეულს. ეს უკანასკნელი კი მთლად შემოსილია ეკლებით, რისგამო მას ხმარობენ ცოცხალ ღობეების მოსაშენებლად. ზღმარტლი გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ; სხვა მცენარეებივით არ არის ნაზი და არ ეშინიან არც სიცივისა და არც სიცხისა. ყვავის თეთრად; მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი; მისი ნაყოფი სანამ დამწიფდება, შემოსილია მწვანე ბუსუსით, მაგრამ როდესაც დამწიფდება, ბუსუსი ეკარგება. როგორც გამძლე და მაგარი ხე, მის მასალას დიდი მოთხოვნილება აქვს მეურნეობაში. მისი ნაყოფით აკეთებენ მშვენიერ საზაფხულო სასმელს (კვასს), ძმარს და ხდიან არაყს. მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულსა და შემოდგომაზედ, ხოლო ნამყენებით გაზაფხულობით—მარტში, აპრილში, მაისში და თიბათვეში.

თხილი (ლეშინა).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველა ნიადაგზედ, არ ეშინიან არც სიცივისა და არც სიცხისა, მეტადრე გარეულს თხილს; არ უყვარს ნესტიანი ადგილი, ყვავის ყველა მცენარეებზედ ადრე—თებერვალში, მის მასალას ხმარობენ ვენახებში ჭიგოდ. საზოგადოთ მის ნაყოფს ოჯახში დიდი მოთხოვნილება აქვს, მაგალითად, ჰედიან ზეთს, აკეთებენ ჩურჩხელას, გოზინაყს და ისედაც მშვენიერი საჭმელია, მეტადრე ზამთრობით. ყველაზე ნოვიერი და გემრიელი თხილი არის ჭარული თხილი (ზაქათალის მაზრისა). მართალია ბერძნული თხილი მსხვილია, მაგრამ გემოთ კი ბევრათ ჩამოურჩება ჭარულს თხილს. მრავლდება: თესლით, გადაწვენით, ფესვების გაყო-



ფით და პატარ-პატარა ტოტებით (თუმცა ტოტებით ძალიან
იშვიათად ამრავლებენ) შემოღომასა და გაზაფხულზედ.

კომში (აივა).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთ-
მანერთში: გემოთი (ზოგი ტკბილია, ზოგი მჟავე), სიმსხოთი,
გაძლებით. გვარობს ყველა ნიადაგზე, მაგრამ ცივი ნაცრით გაპა-
ტიშრებული კომში უკეთესად გვარობს, ამისათვის ყველგან
ჩვენს საქართველოში კომშის ძირს გარშემო უყრიან ბლომათ
ნაცარს. ეს მცენარე იზრდება ხის მსგავსადაც, მაგრამ მომე-
ტებული ნაწილი ბუჩქებად იზრდება, ამიტომ ეკუთვნის ბუჩ-
ქიან მცენარეებს. ცივ ქვეყნებში ვერ გვარობს, უყვარს ცხე-
ლი ადგილები. ყვავის ვარდის ფრად. მის ყვავილით სარგებ-
ლობს ფუტკარი. დამწიფებამდისინ მისი ნაყოფი შემოსილია
ბუსუსით, რომელიც ეკარგება, როცა დამწიფებება, მაგრამ
ზოგიერთ ჯიშის კომში დამწიფებაშიაც არ შორდება ბუსუსი. როგორც გამძლე მცენარე მის მასალას დიდი მოთხოვნილება
აქვს მეურნეობაში. მისი ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, უე-
ლეს, სასმელებს, საჭმელადაც გემრიელი ხილია. მრავლ-
დება: თესლით, პატარა ტოტებით, ბლარტებით, ფესვების
ვაყოფით და გადაწვენით გაზაფხულსა და შემოღომაზედ, ოლონდ
ნამყენებით გაზაფხულობით: მარტში, აპრილში, მაისში და
თიბათვეში.

კომახური (Барбариес).

გვარობს ყველა ნიადაგზე მთებში, ველზე და ბალებში,
არ ეშინიან არც სიცივისა, არც სიცეისა, უყვარს ხმელი ად-
გილები. მთელი მცენარე, როგორც ტოტები, ისე ფოთლები,
შემოსილია ეკლებით; ტოტები და ფთოლები მოყვითალო
ფერისაა, რომელზედაც ასხია პატარ-პატარა წითელი მტევნები;
ეს მტევნები შეადგენს მის ნაყოფს; მცენარე ძვალივით მაგა-



რია, რისგამოც მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნი ლება აქვს. ყვავის ყვითლად, მისი ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. ეს მცენარე კარგია აგრეთვე ცოტხალ ლობეების მოსაშენებლად, მაგრამ სადაც მისლევენ წენა-თესვას, იქ არ უნდა მოაშენოთ ეს მცენარე, რადგანაც ამ მცენარის ფოთოლს იმისთანა სენი (სოკო) უჩნდება, რომელიც სისწრაფით გადადის ყანებზე და მალე უსპობს სიცოცხლეს. იმის ნაყოფით ამზადებენ მურაბას, უელეს, და სხვა და სხვა სასმელებს, აგრეთვე ხმარობენ ძეხვების და მწვადის შესანელებლად. მის ქერქს ხმარობენ სამღებროებში მატყლის შესაღებად, მრავლდება: თესღით და ფესვების გაყოფით.

პვრინჩები (Теренъ).

თუმცა გარეული მცენარეა, მაგრამ ხანდისხან მას ხეხილის ბალებშიაც რგავენ. ბალური კვრინჩხი რიგიანი მოვლით იძლევა მსხვილ და გემრიელ ნაყოფს. ეს მცენარე გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, მისი ტოტები და ყლორტები მთლად შემოსილია ეკლებში, რისგამოც ხმარობენ ცოცხალ ლობების მოსაშენებლად. ყვავის თეთრად, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. ნაყოფით ამზადებენ ტყლაპს, რომელსაც ხმარობენ საჭმელში. გარდა ამისა ნაყოფს ახმობენ ქლიავივით და ისე ხმარობენ. მრავლდება: თესლით და ბლარტებით.

ლელვი (Инжиръ, Фига, Смоковница).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისა, რომლებიც ირჩევიან ერთ-ვანერთში ფერით, გემოთი, დამწიფების დროთი, სიმსხოთი და მცენარის და ფოთლების აგებულობით, გვარობს ცხელ აღ-გილებში, ეშინიან სიცივისა და სინესტესაც ვერ იტანს. კარგათ გვარობს გორაკებზედაც, მაგალითად, სილნალის მაზრაში, მთელი იქაური გორები და კონცები მოდებულია ამ მცენარით. ლელვს უყვარს ნაცრით გაპატიმრება, ამისათვის ძირებში უნდა და-ყაროთ ხოლმე ცივი ნაცარი. მის მასალას მეურნეობაში



არა აქვს ისეთი გასავალი, მაგრამ ნაყოფს კი დიდი გასავალი აქვს, მაგალითად, მისი ნაყოფით იმზადებენ მშვენიერ ჩირებს, ახალი შემოსული ლელვიც კარგი საჭმელია. კარგი გემრიელი ლელვი იცის კახეთში, მეტადრე სიღნაღის მაზრაში, იქაური ლელვი და ბროწეული განთქმულია. მრავლდება: პატარა ტოტებით, გადაწვენით და ფესვების გაყოფით გაზაფხულსა და შემოდგომაზედ.

ხომანდული (Райская яблоня).

გვარობს ყველა ნიადაგზედ, მაგრამ დამიწებულ სასუქით გაპატიმრება ძალიან უხდება; რამდენადაც გაპატიმრებული ექმნება მცენარეს მიწა, იმდენად ხომანდული თამამიდ იზრდება და მსხვილი ნაყოფიც მოაქვს. ეს მცენარე იმით არის შესანიშნავი, რომ ყველა ხეხილზე ადრე შემოდის, მაგალითად, ცხელ ადგილებში თიბათვის პირველ ჩიტვებში მზათ არის ხოლმე. უყვარს ცხელი ადგილები, სიცივეს ვერ იტანს. ყვავის მშვენიერ ვარდის ფრად, მისი ყვავილით კარგად სარგებლობს ფუტკარი. მის ნაყოფს აქვს დიდი მოთხოვნილება, როგორც ადრეული ხილს. ვისაც სურს მიიღოს პატარა დაბალი ჯიშის ვაშლი, იმან ვაშლი უნდა ამყნოს ხომანდულზედ. მრავლდება: თესლით, გადაწვენით, ფესვების გაყოფით გაზაფხულსა და შემოდგომაზედ, ხოლო ნამყენებით გაზაფხულობით: მარტში, აპრილში, მაისში და თიბათვეში.

ბუჩქების დარჩვა და გოვლა.

როგორც ვსთქვი, ზემოთ აღწერალი მცენარეები კარგად გვარობენ ყველა ნიადაგზედ, მაგრამ ვისაც შეძლება აქვს, გადარგვის დროს ყველა მცენარეები გააპატიმროს საქონლის დამიწებული სასუქით რაღაცანაც, რამდენიც მცენარე გაპატიმრებული იქმნება, იმდენად მწოვარა ფესვები ადვილად მიიჩიდავენ მიწიდგან საზრდოს, რომლის გამო მცენარეს ერთი-ორად ემატება ღონე და მალეც მოაქვს ნაყოფი. გაპატიმრებული მცენარე, ყოველთვის საუკეთესო ნაყოფს მოიტანს და გარდა



ამისა მცენარე დიდხანს იცოცხლებს. ამ მცენარეებსაც რგავებ
იმავე წესით და რიგით, როგორც მქონდა ნათქვამი ნახევარ
ბუჩქებიან მცენარეების გადარგვაზედ, ხოლო ამ უკანასკნელ
მცენარეებისთვის თრმოები უნდა დაითხაროს უფრო განიერი და
ღრმა, რადგანაც ესენი გაცილებით დიდრონია პირველებზე.

ნახვარ-ხევბი.

ამ რიგს ეკუთვნის: ატამი, ალუბალი, ფორთოხალი, ანა-
ნასი, ზეთის ხილი, ლიმონი, ნუში, ტყემალი, უნაბი, ქლიავი
და შვინდი.

ატამი (Персикъ).

ითვლება ასამდისინ ჯურა, რომლებიც იჩჩევიან ერთმა-
ნეთში ნაყოფით, ფერით, გემოთი, დამწიფების დროთი, სიმ-
სხოთი, ნაყოფის აგებულობით (ზოგი საპობია, ზოგი სახრა-
ვი), ფოთლების და მცენარის აგებულებით. გვარობს ყველ-
გან და ყველა ნიადაგზე, ხოლო უყვარს ცხელი ქვეყნები და
ეშინიან ცივი ქვეყნებისა. ყვავის ვარდის ფრათ, მის ყვავი-
ლით სარგებლობს ფუტკარი. მის ნაყოფით ამზადებენ შშვე-
ნიერ მურაბას, უელეს, ჰედიან არაყს, ამზადებენ სხვა და სხვა
სასმელებს, ამმობენ ჩირად და აგრეთვე სდებენ მწნილათაც. მ-
რავლდება თესლით შემოდგომასა და გაზაფხულზედ, ხოლო
ნამყენებით — ზაფხულობით. ბევრჯელ თესლზე (კურკაზედ)
ამოსულ ატამს მოაქვს უფრო საუკეთესო ნაყოფი, ვიდრე
ნამყენებს, ამისათვის ბვერ ადგილებში, მაგალითად, როგორც
ზაქათალის და ნუხის მაზრებში, არა დროს ნამყენებით არ
ამრავლებენ ატამს, ამიტომ სჯობია ცივ ადგილებში ატამი
მოამრავლოთ თესლით, რადგანაც თესლით მოშენებული მცე-
ნარე ღრმათ იდგამს მიწაში თავის ფესვებს და ამის გამო კა-
რგად იტანს სიცივეს.

ალუბალი (Вишня)-

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველგან და ყველა
ნიადაგზე, მას არ ეშინიან არც სიცივისა და სიცხისა, ხოლო



უყვარს ნოტიო და წყლიანი აღგილები. ირჩევიან ერთმანერთში ნაყოფის გემოთი (ზოგი მჟავეა, ზოგი ტკბილი), ფერით, სიმსხოთი, დამწიფების დროთი, ფოთლების და მცენარეების. აგებულებით. უვავის თეთრად, მის ყვაველით სარგებლობს ფუტკარი. მის ნაყოფით ამზადებენ მურაბას, უელეს, ღვინოს, სხვა და სხვა სასმელებს და ახმობენ კიდევაც. ზაფხულობით მის ნაყოფით, როგორც გასაგრილებელი საჭელი, ამზადებენ მშევნიერ გასაგრილებელს საჭმელს, რომელსაც სოფლელები უწოდებენ ჭრიანტელს *). მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულობა და შემოდგომაზედ, ხოლო ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით (მარტიდან დაწყებული მარიამბისთვემდის).

ვოროვალი ანუ თურინჯი (Апельсинъ).

თურინჯი არის ცხელი ქვეყნების მცენარე, რისგამოც ხუთ გრადუს მეტს სიცივეს ვერ იტანს. ეს მცენარე თავის სამშობლოში ველურად იზრდება მინდვრებში და ტყეებში, მაგრამ ჩვენში კი ქცეულა შინაურ მცენარედ, რომელსაც ზამთრობით კათხიანად ინახავენ ოთახებში და ზაფხულობით გარეთ ჰაერზედ. ქალაქ ფოთში კი ზამთარ-ზაფხულ გარეთ ჰაერზედ არის ხოლმე. ეს მცენარე ყვავის და ნაყოფი მოაქვს მას თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ასე რომ რიგი ყვავის, რიგი ნაყოფით ისახება, რიგი მომსხვილო ნაყოფია, მაგრამ

*) ჭრიანტელის მომზადება: აიღეთ ერთი თავმოდგმული მათლაბა მწიფე ალუბალი, გამოაცალეთ კურკები, დანარჩენი ჩენჩხ ხელით კარგათ დაჭყლიტეთ, ზედ დაასხით სამი ან ოთხი მათლაბა ცივი წყალი, ისევ კარგათ დაჭყლიტეთ ჩენჩხ, რომ წვენი არ გაჰყვეს. მერე წვენი გაატარეთ ქონდარის ტურებში ისე, რომ წვენს არ გაჰყვეს ჩენჩხ, ეს უკანასკნელი გადაყარეთ, წვენს უყავით ძალიან წმინდად დაჭრილი ხახვი ან ახალი ხახვის ფოჩი, კამა, ქინძი, პიტანა, რეპანი, ქონდარი და ვისაც სურს წმინდათ დანაყილი ნიორი. მერე შიგ ჩააჭერით ერთი ან ორი ქორფა კიტო, გაუსწორეთ მარილი და მიირთვით.

შემოუსვლელია, რიგი კიდევ მწიფე. მწიფე ნაყოფი ცვითე-
 ლი ფერისაა და იან მშვენიერი სუნისა. მის მწეანე ფოთოლ-
 საც მშვენიერი სუნი აქვს, როდესაც გასრესავთ ხელში, უიმი-
 სოდ კი ფოთოლს სრულებით არა აქვს სუნი. ჰყავის თეთ-
 რად, რომელსაც აგრეთვე მშვენიერი სუნი აქვს. მრავლდება:
 თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, ნამყენებით და გადაწვე-
 ნით გაზაფხულობით და ზაფხულობით. მის გადასარგავად მიწა
 უნდა მომზადდეს ასე: აიღეთ ერთი ნაწილი ისე უბრალო
 ყამირი ფხვიერი მიწა (дерновая земля), ერთი მეხუთედი
 დამიწებული სასუქი და ორი მეხუთედი კარგად გარეცხილი
 ქიშა. ესენი სულ ერთმანერთში უნდა იძრიოს და ისე უნდა
 მოხმარდეს მცენარეს. გადარგვის დრო არის გაზაფხული. კა-
 რგი მსხვილი ნაყოფის მოსხმისათვის და სანაყოფიერო ტო-
 ტების გამრავლებისათვის საჭიროა მცენარე ყოველ გაზაფხუ-
 ლობით გადარგათ და გასხლათ. მცენარე ხშირ მორწყვას არ
 საჭიროებს, რადგან მომეტებულ მორწყვისაგან ფესვებს მოგრ-
 ძელო ჭია უჩნდება და მცენარეს სიცოცხლე ესპობა მაღვ.
 ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მცენარეს მოუვლელობის გა-
 მო ეხვევა ტკიპი; ამ ტკიპის წინააღმდეგი წამალი არის: ორ
 ნაწილ საპონ-წყალს მიუმატეთ ერთი შესამედი ლამფის ნავთი
 და ასე მომზადებული წყლით უნდა რეცხოთ ფოთლები, ყლორ-
 ტები და ტოტები. კათხაში შეყვანი მიწაც მორწყვის შემდეგ
 ყოველთვის უნდა აუჩილოთ პატარა ჯოხით, რომ ჰაერმა
 კარგად იმოქმედოს მწოვარა ფესვებზედ. ბევრჯელ მოხდება
 ხოლმე, რომ კათხაში (ბოჩქაში) სუსტათ გვარობს მცენარე,
 მაშინ გაზაფხულობით, აპრილში ან მაისში, მცენარე ამოი-
 ლეთ კათხიდან, ცოტათი მოაკვეცეთ ფესვები და ისე გადარ-
 გით გარეთ ორმოში, ხოლო ორმოსთვისაც მოამზადეთ იმის-
 თანავე მიწა, როგორც ზემოთა მქონდა ნათქვამი. ამისთანა
 სუსტი მცენარე ორმოში რჩება შემოდგომამდისინ, შემოდგო-
 მაზე კი გადარგით მოზრდილ კათხაში, კარგად მორწყვევით და
 შეიტანეთ შინ. ხოლო კათხის ძირი რამდენიმე ალაგას გახვ-



რეტილი უნდა იყოს და ძირში ერთი ვერშოკის სიმაღლეზედ
უნდა ჩაიყაროს დამტვრეული კრამიტი ან აკური, რომ მორ-
წყვის დროს, წყალი არ დაგუბდეს კათხაში და მცენარეს არ
დაულპოს მწოვარა ფესვები. მრავლდება: ოესლით, პატარ-
პატარა ტოტებით და გადაწვენით გაზეფხულობით, ხოლო
ნამყენებით კი ზაფხულობით—მაისში და თბათვეში.

ანანასი (Ananas).

ფორთოხალის გვარისაა, ასე რომ, რაც ფორთოხალზედ
იყო ნათქვამი, ესევე იგულისხმე ამ მცენარეზედაც.

ზეთის-ხილი (Maslina).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა და ირჩევიან ერთმანერთში
ნაყოფით, ფოთლებით, დამწიფების დროთი, ეკლებით, მაგა-
ლითად, გარეული ჯიშის ზეთის-ხილის ტოტები და ყლორ-
ტები მთლად შემოსილია ეკლებით, ბალურ ზეთის-ხილს კი არა
აქვს ეკლები. გვარობს ყველა ნიადაგზედ შავი ზღვის ნაპირებ-
ზედ: სამეგრელოში, ბათუმის ოლქში და ყირიმში; უყვარს
თბილი ყველნები, ცივ ქვეყნებში ვერ გვარობს. როგორც
ლერო, ისე მისი ტოტები, ყლორტები და ფოთლები თეთრი
ფერისაა, ყვავის ყვითლად, მის ყვავილს აქვს მშვენიერი სუნი.
მის მასალას, როგორც მაგარი მცენარე, მეურნეობაში დიდი
მოთხოვნილება აქვს, მაგალითად, მის მასალით .ამზადებენ
სათამბაქოებს (თაბაკერკი), დანის ტარებს, ყუთებს და სხვა
ნივთებს. ნაყოფი დამწიფებამდის მწვანე ფერისაა, ხოლო რო-
ცა დამწიფდება—შავდება. მისი დამარილებული ნაყოფი შეა-
ღენს მშვენიერ საჭმელს, რომელსაც ვაჭრობაში დიდი მოთ-
ხოვნილება აქვს. ამის ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ ზეთს.
მცენარე ცოცხლობს სამას წლამდის. მრავლდება: ოესლით,
პატარა ტოტებით და გადაწვენით, ხოლო თესლი და გესამდის
რამდენიმე დღით უნდა დაალბოთ—მარილ-მჟავეში (ვ. CO-



ляной кислотъ), ртуть губно мелкое и ощущение счастья и радости.

Лимонъ (Лимонъ).

Угнетающий фруктъ лимонъ, въкус которого въесьма кислый и горький, но зато онъ очень полезенъ (см. 14 главу.), а также онъ содержитъ въ себѣ много витамина C.

Миндаль (Миндаль).

Благородный орехъ съ ярко-зелеными листьями, цветы которыхъ белые, а плоды зеленые. Орехъ имеетъ приятный вкусъ и содержитъ много витамина E. Онъ полезенъ для здоровья и можетъ помочь при различныхъ заболеванияхъ. Миндаль также содержитъ антиоксидантъ и антибактериальные вещества.

Лукъ (Лукъ).

Лукъ является важнымъ компонентомъ многихъ блюдъ. Онъ имеетъ острую и сладкую вкусовую характеристику. Лукъ содержитъ антиоксидантъ и антибактериальные вещества, что делаетъ его полезнымъ для здоровья. Онъ также содержитъ витамины и минералы, необходимые для нормальной работы организма.



ჩას. ტყემლის ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ ტყლაპსა, თამა-
რას და სხვა, რომელსაც ხმარობენ საჭმელში; მრავლდება:
თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოლონდ ნამყენე-
ბით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

უნაბი (უნაბი).

გვარობს ყველა ნიაღაგზე, უყვარს თბილი ქვეყნები,
ცივ ქვეყნებში სრულებით არ გვარობს. ამ მცენარის ნაყოფი
მინამ დამწიფებება მწვანე ფერისაა, ხოლო როცა დამწიფე-
ბა—მუქ მოწითალო ფერისაა; ნაყოფი მშვენიერი საჭმელია,
და გულის ტკივილის წინააღმდეგი წამალი, რისგამოც მას
დიდი მოთხოვნილება აქვს. გარეულ მცენარეს ტოტები და
ყლორტები შემოსილი აქვს ეკლებით, ნამყენ მცენარეს კი
ეკარგება ეკლები; მცენარე მაგარი და გამძლეა, რისგამო მის
მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. მრავლდება:
თესლით, გადაწვენით, პატარ-პატარა ტოტებით და ბლარტე-
ბით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოლონდ მყნობით კი
გაზაფხულობით და ზაფხულობით.

ქლიავი (слива).

ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩე-
ვიან ერთმანერობი ნაყოფის სიმსხოთი, გემოთი, დამწიფების
დროთი, აგებულობით და სხვა, გვარობს ყველგან და ყველა
ნიაღაგზე, მას არ ეშინიან არც სიკივისა და არც სიცხისა,
უყვარს ნესტიანი ადგილები, ასე რომ ცხელ ადგილებში უნ-
დება ხშირი მორწყვა. ჰყვავის თეთრათ, მის ყვავილით სარ-
გებლობს ფუტკარი. მის ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, უ-
ლეს, ტყლაპს, თათარას, ჰელიან არაყს, აკეთებენ ღვინოს და
ახმობენ კიდევაც, რისგამო მის ნაყოფს ცხოვრებაში დიდი
მოთხოვნილება აქვს, მეტადრე გამხმარ ნაყოფს, რომელსაც
გზავნიან რუსეთში და საზღვარ-გარეთ ქვეყნებში ათი-ათასი



ფუთობით. მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოღონდ ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

შვილი (Кизиль).

ორნაირი ჯი შისაა: თეთრი და წითელი, გრძელი და მომრგვალო, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე მთებში, მინდვრებში და ტყეში, უყვარს ხრიაკი ადგილები, ხშირ მორწყვას არ საჭიროებს, ჰყვავის ყველაზე ადრე, მაგრამ ნაყოფი კი მოაქვს ყველაზე გვიან, ყვავილი ყვითელი ფერისაა, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი, ძალიან მაგარი მცენარეა, რისგამო მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. მისი მწიფე ნაყოფი მშვენიერი საჭმელია, მაგრამ გამშმარი ნაყოფიც და მისი ჩურჩაც ოჯახში დიდად გამოსადევგა. მის ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ მურაბას, უელს, კანფეტებს, ღვინოს, სხვა და სხვა სასმელებს და აგრეთვე ჰელიან არაყს. გარდა ამისა გერმანიაში მის შემოუსვლელ ნაყოფს ხარშავენ დაფნის ფოთოლში, კამაში, პიტნაში, ქონდარში და როდესაც ხილი მოხარუება, გადმოსლებამენ, ამოლებენ სხვა კურკელში, გააციებენ, შემდეგ ზემოდან დაასხმენ ზეთს და ისე ინახავენ. ამნაირად მომზადებული შეინდი იღებს ზეთის-ხილის გემოს, რომელსაც ხმარობენ სუფრაზე ზეთის-ხილის მაგიერ. მის განხმარ ყვავილს ხმარობენ ჩაისატით გაციების და ჭვლის-წინააღმდეგ. მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით.

კურპიანი მცხვარებას თესეა.

აქ მე აღწერილი მაქვს კურკიანი მცენარეები, ე. ი. რომლების თესლისაც აქვთ მაგარი კანი. რედგანაც პირდაპირ და-თესილი კურკა გვიანობამდისინ არ ამოდის, ამისათვის მას არა სთესავენ პირდაპირ მიწაში, როგორც სხვა თესლეულებს; კურკიან ანუ მაგარ კანიან თესლებს ჯერ აღივებენ და მერე სთესავენ ანუ რევაცენ კვლებში. ამისთანა თესლეულობის გა-



ლიებას ჰქვიან რუსულად სტატიფიკაცია ანუ თესლეულობის გაღიება. აი რაში მდგომარეობს ეს წესი. აიღეთ ქოთანი ანუ ყუთი, ან კიდევ ამოთხარეთ ორმო, ძირს ერთი გოჯის სიმაღლეზე ჩაყარეთ დამტვრეული აგური ანუ კრამიტი, შემდეგ ჩაყარეთ ერთი გოჯის სისქეზე ქვიშა, ზემოდან ჩააწყეთ ერთი რიგობა კურკიანი თესლები, შემდეგ კიდევ ერთ გოჯზე მოსურეთ ქვიშა, მერე ისევ კურკიანი თესლები, ამ ნაირად გაიმეორეთ ეს საქმე, ვიდრე არ გაიმსება ჭურჭელი; სავსე ჭურჭელი დადგით მშრალ ადგილას სარდაფში, რომ თავვებმა არ გააფუჭონ, ორმოს კიდევ ზემოდან დააფარეთ ბუჩქ და ფიცრები, რომ წვიმის ან თოვლის წყალი არ ჩაუვიდეს. ასე შენახული თესლი ზამთრის განმავლობაში უშვებს ღივს; გაზაფხულზე, როცა დედამიწა მოთბება, მაშინ ამოიღეთ აღიებული თესლი, ცოტათი ღივები მოაკვეცეთ და დარგევით გაჲატივებულ კვლებში ოთხი გოჯის სიშორეზე. ღივების შეკვეცას აქვს ორნაირი მნიშვნელობა: 1) ღივი იხეთქავს სხვა მრავალ მწოდარა პატარ-პატარა ფესვებს; 2) მცენარე ღრმათ მიწაში არ იდგამს ფესვებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გადარგვის დროს.

აგრეთვე კურკიანი თესლების მაღე ამოსასვლელათ ან გასაღიებლათ, თესლებს ალბობენ რამდენიმე დღით წყალში გახსნილ საქონლის ახალ სასუქში ან კიდევ ცივ წყალში, რომელშიაც ურევენ ცოტა მარილ-მჟავას (СОЛЯНУЮ КИСЛОТУ). ამ ზემოთ აღწერილ წესებს თესლეულობის გაღიებისას ხმარობენ მარტო კურკიანის, ე. ი. მაგარი კანის თესლეულობისათვის.

დიდრონი ხევზი.

ამ რიგს ეკუთვნიან: ბალი, გარგარი, ვაშლი, თუთა, კაფალი, მსხალი, ხურმა, ფშატი, ფუსტული და წაბლი.

ბალი (Черешня).

ოცამდისინ სხვა და სხვა ჯურისაა, მათში ზოგი ტკბილია, ზოგი მუვე, ზოგი ყვითელია, ზოგი შავია,



ზოგი თეთრი, გარდა ამისა ერჩევიან ერთი-ერთმანერთს სიმსხოთი, დამწიფების დროთი, ნაყოფის აგებულობით და სხვა. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, არ ეშინიან არც სიცხისა, არც სიცივისა, ოღონდ უყვარს ცოტათი ნოტიო ადგილები. ჰყვავის თეთრად, მაისში და თიბათვეში. მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. მის ხის მასალას, როგორც გამძლეს, მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. მის ქერქით საქართველოში ამზადებენ ქვევრების სარცხებს. მის ნაყოფით ამზადებენ მურაბას, უელეს, სხვა და სხვა სასმელებს და კურკადაც ახმობენ. მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოღონდ ნამყენებით—გაზაფხულობით და ზაფხულობით.

გარგარი, პერამი (აბრიკოსი, კურაგა).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ნაყოფის სიმსხოთი, გემოთი, დამწიფების დროთი, აგებულობით და სხვა. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, უყვარს თბილი ქვეყნები, დიდი სიცივეებისა ეშინიან. ჰყავის ვარდის ფრად, მაისში და თიბათვეში, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. როგორც მაგარი ხე მის მასალას შეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. მის ნაყოფით ამზადებენ მურაბას, უელეს, სხვა და სხვა სასმელებს, ჰედიან არაყს, აგრეთვე ახმობენ. ამ უკანასკნელს დიდი გასავალი აქვს რუსეთში და საზღვარ-გარეთ ქვეყნებში. მის თესლით ჰედიან ზეთს. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოღონდ ნამყენებით—გაზაფხულობით და ზაფხულობით.

გაშლი (Яблоня).

ექვსასამდის (600) სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანერთში ნაყოფის გემოთი, ფერითა, სიმსხოთი, დამწიფების დროთი, გამძლეობით, ფოთლების და ყლორტე-

ბის ფერით და ხის აგებულებით. მას არ ეშინიან არც სიც-
ხისა და არც სიცივისა, გვარობს ყველა ნიადაგზედ, მაგრამ
უყვარს კოტათი ნოტიო ნიადაგი. ეს მცენარე ისე ღრმათ
ფეხვებს არ იდგამს მიწაში, როგორც მსხალი, აგრეთვე იზრ-
დება უფრო სიგანეზე, ვადრე სიმაღლეზე, ამისათვის ვაშლის
ხეები ქარისაგან ისე არ ზარალდებიან, როგორც მსხლის ხე-
ები. ჰყვაფის ვარდის ფრათ თიბათვეში, მის ყვავილით სარ-
გებლობს ფუტკარი. როგორც გამძლე ხე მის მასალას მეურ-
ნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. ცოცხლობს ას წლამ-
დის, ნაყოფს იძლევა მერვე წელიწადს მყნობის შემდეგ. მის
ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, უელეს, ღვინოს, ძმარს, ჰელიან
არაყს და აკეთებენ სხვა და სხვა სასმელებს, გარდა ამისა ახ-
მობენ ჩირათ, ამ უკანასკნელს დიდი გასაფალი აქვს როგორც
ჩეენს საქართველოში, ისე რუსეთში და საზღვარ-გარეთ ქვე-
ყნებშიაც. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოღო-
მილ, ოღონდ ნამყენებით — გაზაფხულობით და ზაფხულობით.

თუთა (III ელივიცა).

ამ მცენარის სამშობლო არის ჩინეთი, მაგრამ როგორც
სასარგებლო ხე, ეხლა მოჰყავთ თითქმის მთელი დედამიწის
წურგზედ, გარდა ცივ ადგილებისა. გვარობს ყველგან და
ყველა ნიადაგზედ, უყვარს ქარისაგან მოფარიებული ადგილი
და ხმელი ნიადაგი, ნოტიო ნიადაგს ვერ იტანს. რამდენიმე
ჯურისაა, მაგალითად: თეთრი, შავი და ჭროლა, მათში ყვე-
ლაზედ გამოსაღევი არის თეთრი თუთა, რაღვანაც მის ფო-
თლებით ჰკვებავენ აბრეშუმის ჭიას *), მისი ნაყოფით ჰელიან
არაყს, ამზადებენ თათარას და ბადავს. მწიფე ნაყოფიც მშვე-
ნიერი საჭმელია; გამოცდილებიდამ სჩანს, რომ დილ-დილო-
ბით უზმოზედ მწიფე თუთა დიდათ ჰრებებს ადამიანის სხეულს

* აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებათ ითვლება რგვალი გარეშემა კუწუ-
ბიანი ფოთლები და არა ამოჭრილი (Разрѣзанныe).



და კიდევაც ასუქებს. როგორც გამძლე ხე, მის მასალას ღილი მოთხოვნილება აქვს მეურნეობაში. ხე ცოცხლობს სამას წლამდისინ. მრავლდება: თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომობით, ოლონდ ნამყენებით კი—გაზაფხულობით და ზაფხულობით, მაგრამ მსხვილი და გემრიელი ნაყოფის მიღებისთვის კი უთუოთ უნდა ამყნოთ.

სართულა (IIIелковица кислая).

იმით იჩევა ზემოთ აღწერილ ჯიშის თუთებისგან, რომ ამას მოაქვს კაკლის ტოლა, შავი ნაყოფი, აქვს მსხვილი და ძარღვიანი ფოთლები, მუქი ფერისა, რომლებიც ქვემოდან შემოსილია ბუსუსით, ამასაც უყვარს ხმელი ნიადაგი და მზისა-გან მოფარებული ადგილები. მის მასალას ხმარობენ საღურგულოებში, ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ მურაბას და სხვა სასმელებს, საჭმელადაც სასიამოვნო მომჟავნო გემრიელი საჭმელია. მის ქრემს და ფესვებს ხმარობენ პრტყელი ჭიის წინა-აღმდეგ (солитера). ამ მიზნისთვის მისი ქრემი და ფესვები უნდა კარგად მოხარმოთ წყალში, მერე ნახარში გადაწუროთ, გაა-ციოთ და ისე დალიოთ უზმოხე. ხე ცოცხლობს ღიღხანს, მრავლდება თესლით შემოდგომით და გაზაფხულობით, ოლონდ ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით, მაგრამ მსხვილი და გემრიელი ნაყოფის მიღებისათვის კი უთუოდ უნდა ამყნოთ. ამ თუთის ფოთლებით არა დროს არა ჰკვებამენ აბრეშუ-მის ჭიას, რადგანაც აბრეშუმი არ გამოდის კარგი ღირსებისა.

კაპალი (Орехъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, ზოგი მათში აღრეულია, ზოგი თხელ-კანიანია, ზოგი კირკიტა. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, გარდა ნოტიო ნიადაგისა, რაღანაც ნო-ტიო ნიადაგზე ნახარებ მცენარეს ყოველთვის ჭიანი და უხე-ირო ნაყოფი მოაქვს, რომელიც ოჯახში სახმარებლათ არ გარ-



გა, მცენარე ერთ სახლობიანია (однодомное растение), ე.
ი. იმავე ერთ ხეზე იმყოფებიან მამალი და დედალი ყვავილები (мужские и женские цветы). ჰყავის მოყვითალო ფრათ. მამალი ყვავილი მოგრძელო აგებულებისაა, დედალი მოკლე, რომლებიც იმყოფებიან მალლა ტოტებზე ხან თითო, ხან კიდევ ორი-სამი ერთად. ტოტები და ყლორტები შემოსალია მსხვილ-მაგრძელო ფოთლებით. როგორც გამძლე ხე განთქმულია მთელ დედამიწის ზურგზე, ამისათვის მის მასალას უჭირავს მეურნეობაში უპირველესი ადგილი, მეტადრე ნუშარებს (наплывъ). არც მის ნაყოფს უჭირავს ნაკლები ადგილი; მისი ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ ზეთს, ჩურჩხელებს და საჭმელადაც კარგი სასიამოვნო და გემრიელი ხილია. ხელით დასრუსილ ფოთლებს ასჭის მშვენიერი სასიამოვნო სუნი. შემოუსვლელი ნაყოფით (წენგოთი) ამზადებენ მშვენიერს მურაბას, ჰელიან არაყს, მის გამოწურულს წვენს, თაფლში არეულს, ხმარობენ ყელის ტკივილის წინააღმდეგ. მოხარ-შული ნაყოფის წვენი უებარი წამალია ჭიისა. მის მოხარ-შულ ფოთლების წვენში აბანავებენ სურავანდიან ყმაწვილებს (золотушныихъ). გარდა ამისა, ვისაც ჩამოსდის თმა, კარგია იბანაოს მის ფოთლებში მოხარ-შულ წყალში. შენახული ტანისამოსი, მეტადრე ტყავისა და მაუდისა ან დრაფისა, რომ არ გააფუჭოს ჩრჩილმა, სჯობია შიგა და შიგ მოპტინოთ კაკლის ფოთლებით, რომლის სუნი ეჯავრება ჩრჩილს. ხე ცოცხლობს სამას წლამდისინ, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

მსხალი (Груша).

მსხალი ოთხასზედ მეტი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანერთში ნაყოფის გემოთი, სიმსხოთი, დამწიფების დროთი, ფოთლების, ყლორტების და მცენარის აგებულობით. გვარობს ყველგან და ყველა ნიაღაგზედ, უყვარს



გაშლილი იდგილი და ნოყიერი ნიადაგი. რამდენიც ნიადაგი ნოყიერი ექმნება, იმდენად მცენარე ღრმად მიწაში იდგამს თავის ფეხსვებს. ეს მცენარე ვაშლის ხეზედ მეტად საჭიროებს სინოტიეს, ამისათვის ცხვლ ქვეყნებში ამას მეტი მორწყვა უნდება, ვიდრე ვაშლის ხეს. გარდა ამისა მსხალს ის ოვისება აქვს, რომ ერთსა და იმავე ნიადაგზედ დარგული მცენარეები ერთნაირად ვერ უკმაყოფილებიან ნიადაგის ლილას, ამითა სჩანს, რომ სხვა და სხვა ჯურის მსხალს, სხვა და სხვა ნიადაგი სდომნებია. ამისათვის მცენარეების დარგვის ღროს მემამულებ არას ღროს არ უნდა აურიოს ერთმანერთში სხვა და სხვა ჯურის მსხალი, ყველა ჯური ცალ-ცალკე უნდა დარგოს და შემუელ შიაც ადევნოს ოვალ-ცური. მცენარე, ჰყვავის ოერად თიბათვეში, მის ნაყოფით სარგებლობს ფუტკარი. როგორც გამძლე ხე, მის მასალას დიდი მოთხოვნილება აქვს საღურგლოში. ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, უელს, კომპოტს, ლვინოს, ჰელიან არაყს, ამზადებენ ძმარს და სხვა სასმელებს. ინახავენ მწნილათაც, მაგრამ გამხმარ ნაყოფს (ჩირს) უფრო მომეტებული მოთხოვნილება აქვს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში და საზღვარ გარეთ ქვეყნებშიაც. ცოცხლობს თითქმის სამას წლამდისინ, მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

ხურმა (Хурма).

ხურმა ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა. მაგრამ ყველაზედ საუკეთესო და ოვალ საჩინო არის ის ჯიში, რომელსაც „დიონისპიურს კაკი“ ჰქვიან. ამ ხურმის ნაყოფი ყვითელი სანთლის ფერისაა, სიმსხოთი თითქმის შუათანა ვაშლის ოდენაა, ამისთანა მსხვილი ნაყოფის მიღებისათვის მცენარეს ამწობენ უბრალო ხურმაზედ. უბრალო ხურმა გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, მაგრამ მარტო თბილ ქვეყნებში, ცივ ადგი-



լոյնուս յՇինուած და նապոցու զեր մռայվե. թշրիմարու լոյրո, Ծուրբի და պղորբեած մշյ մռպատալու զյըրնուսա, չպազու պատել-իութատ, օւսու վարուու պազուու. թշրիմարյ ուսպա (хրупкое), հուսամու թյուրնեռնամու մու եց մռտեռազնուունու առա պյաս. թամուսվլու նապոցու մշյ մռպատալու զյըրնուսա, սպայրու, քամամու პուրսա չմածամս, ճամիուցեամու կո նապոցու չմա- վագեա და զյուու սրբեա, ամ նապոցու սուրու շրանեա մռա- ծու ხալխո. զուսապ չսպամ մու նապոցու սահցեթլուն, մամոն ման սինդա զամրապլու ճուռսամուս-յակո. մռավլուցեա: տյըլու, վարար-վարա գուրբեած დա ծառարբեած գանցագեռնուն დա մայմուցուն, եռլու նապոյնեած կո նագեռնունուն.

ՊՇԱՅՈ (Լոխե).

ծյըրու սեցա და սեցա ջայրնուսա, նոցս մռայվե վարուու նա- պոցու, նոցս կութա տուտա պարմենու ութենա նապոցու; սեցա թշրիմարյ նախու ար առու, զամրան զաւլցան და պայլու նուս დացնե, եռլու սպամ տնուու վայընեա, սու վայընեամու յար- ցա զեր զամրան. եց մռտաւ մայմոնուու յուլուցեա, հուսամո մաս եմարուեն պուրեալ լուցեած մռսամենեած. հոցուրպ լոյրո, օւս Ծուրբեա, պղորբեած და ուռտլուցեա տյըտրու զյ- րիսա, մռպատանո-մռթուտանո յանու. չպազու պատլաւ, մու պազուու պյաս վայընեա մոմիութացու սունո, հուսամո մաս յե- պայա սյարեած զյըրու, սաօდամապ օլյեա սահրդու, պյ- րետց աժամանուտուսապ սասումռազնու թշրիմարյ, ամուսատուս մյ պայրից պայլու մըմամելցէ, զոնց հում մըսօլյե ուստիրու գա- մենեաս, մռամրացլու յս թշրիմարյ տացու մայմունու. հոցուրպ գամելց եց, մու մասալու մյուրնեռնամու լուգու մռտեռազնուունու պյաս. մռավլուցեա: - տյըլու, գաճարացնու, վարար-վարա գու- րբեած და ծառարբեած գանցագեռնուն დա մայմուցուն, եռ- լու նապոյնեած կո նագեռնունուն.



ფუსტული (Фисташковое дерево).¹

ფუსტული ეკუთვნის ცხელ ქვეყნებს, ამიტომ ჩვენში ცხრა გვარობს. თუმცა ყირიმში ხშირათ შეხვდებით ამ ხეს, მაგრამ ისეთი საგანვებო ნაყოფი ვერ მოაქვს. როგორც გამძლე ხეს, მის მასალას მეურნეობაში ღიღი მოთხოვნილება აქვს, მაგრამ ნაყოფს უფრო ღიღი მოთხოვნილება აქვს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში და საზღვარ-გარეთ ქვეყნებშიაც; ნაყოფს მაგარი კანი აქვს და მოთეთრო ფერი, მაგრამ გული კი მომწვანო-თეთრი ფერისა. ცოცხლობს ღიღნანს. მრავლდება თესლით და პატარ-პატარა ტოტებით შემოდგომით და გაზაფხულობით.

ჭაბლი (Каштанъ).

ჭაბლი ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ნაყოფის სიმსხოთი და აგებულობით. გვარობს ცველგან, მთების კლდიან ადგილებში, ტყეებში, მინდვრებში და ბალებში, უყვარს ნოკიერი და ნოტიო ნიადაგი, მაგრამ ეჯავრება წყლიანი ნიადაგი; როგორც ღიღ სიცხეს, ისე ღიღ სიცივეს ვერ იტანს. უყვარს შუათანა ჰავა. მამალი და დედალი ყვავილი იმყოფებიან იმავე ერთ ხეზედ (однодомныie), ჰყვავის ყვითლად. მწიფე ნაყოფს ღიღი მოთხოვნილება აქვს ჩვენში, რუსეთში და საზღვარ-გარეთ ქვეყნებში. როგორც უმი, ისე შემწვარი და მოხარშული ნაყოფი შეაღენს გემრიელ საჭმელს. როგორც გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში ღიღი მოთხოვნილება აქვს. ცოცხლობს ათას წლამდის, იზრდება ლონივრად, ასე რომ ბევრჯელ ოთხ საუენამდისინ ეძლევა სისქე (4 сажени въ диаметръ). მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, მაგრამ მსხვილი და გემრიელი ნაყოფის მიღებისათვის ზაფხულობით ამრავლებენ ნამყენებით.



ფოთლებით, ეკლებით, ყლორტებით, სიმაღლით, აყვავების დროთი და მცენარის აგებულებით. უყვარს ფხვიერი, ნოკის ერი და სასუქიანი მიწა, ხელ ნიაღავს და ცხელ ჰავას ვერ იტანს, სიცივისა ისე არ ეშინიან, იტანს 10—20 გრად. სიცივეს. ეს მცენარე შესანიშნავია თავისი მშვენიერი და ათას-ფერ სხვა და სხვა ყვავილებით, რისგამო ყველგან ეზოებში, ბაღებში და ყვავილნარებში უჭირავს უპირველესი ადგილი. მათში იმისთანა ჯურის ვარდებია ზოგი, რომ ვაზსაფით ადის მაღლა, ეხვევა მთელ შენობებს, ამისთანა ჯიშის ვარდებს ხმარობენ შენობების მოსართავად, ამისთვის განსაკუთრებით ხმარობენ შესანიშნავ ვარდს ბანკრიას. რადგანაც ქართულ ენაზე არა გვაქვს ვაღმოთარებული და დასახელებული ვარდების ყველა ჯიშის სახელები, ამისათვის მე დავასახელებ ფრანგულათ ლათინური ასოებით, ზოგიერთ შესანიშნავ ვარდების სახელებს, მოკლე აღწერით.

1. *Rosa gallica* (ვარდი გალლიკა). მცენარე სიმაღლით იზრდება ოთხას არშინამდის, ყვავილი მოწითალო-სოსანო ფერი აქვს, მშვენიერი სუნისა. ჰყვავის წელიწადში ერთხელ, თითო ყლორტზე აქვს სამი ყვავილი (ბუთონი), იტანს ოც გრადუსამდის სიცივეს.

2. *Rosa muscosa* (ვარდი მუსკოზა). ეს ვარდი სიმაღლით და აგებულებით ცოტათი ჰგავს პირველს, მაგრამ შეხედულობით ამის ყვავილი თითქმის რამდენიმე ფერისაა, თითო ყლორტზე ითვლება ხუთამდის ყვავილი, მის ფოთლები გარედან შემოსილია ძალიან წვრილი ეკლებით, ტოტებიც შემოსილი აქვს ხშირი და წვეტიანი ეკლებით. ყვავილი კარგი სასიმონო სუნისაა, ჰყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს ოც გრადუსამდინ სიცივეს.

3. *Rosa centifolia* (ცენტიფოლია). იზრდება ორი არშინის სიმაღლით, აქვს წვრილი ტოტები, რომლებიც შემოსილი აქვს პატარა ეკლებით, თითო ყლორტზე იმყოფება ერთიდან სამამდის ვარდი. იცის თეთრი, მუქ-თეთრი და ჯიგრის



ფერი ყვავილები. ჰყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს გრადუსამდინ სიცივეს.

4. *Rosa lutea* (ლუტეია). ამ ჯურაში ყველაზე კარგი არის ყვითელი სპარსული, წვრილი ტოტებით და ეკლებით, თითო ყლორტზე აქვს თითო ყვავილი. ჰყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს 20 გრადუსამდისინ სიცივეს.

5. *Rosa bifera* (ремонтантная—ბიჭერა). ღონიერი აგებულებისაა, რისგამო აქვს ღონიერი ტოტები, რომლებიც შემოსილნი არიან მომსხვილო ეკლებით. თითო ყლორტზე აქვს ორიდან შვიდამდის ყვავილი, მშვენიერი სუნისაა. აქვს მსხვილი მუქი მწვანე ფერის ფოთლები, ჰყვავის წელიწადში ორჯელ, ხან სამჯერ, იტანს ათ გრადუსამდისინ სიცივეს.

6. *Rosa inddica fragrans theia* (Чайная, ინდიკა ფრა-გრანს ტეია) რამდენიმე ჯურისაა. ზოგი მათში ღონიერია, ზოგი სუსტის აგებულებისა, თითო ყლორტზედ იცის თითო ყვავილი, მშვენიერი სუნისაა, სხვა და სხვა ფერისა, ხან მუქ ყვითელი ფერისაა, ხან მუქ ვარდის ფერისა. აქვს წვრილი ტოტები, რომლებიც შემოსილნი არიან მომსხვილო და ხშირი ეკლებით, ჰყვავის წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ, იტანს ცხრა გრადუსამდისინ სიცივეს.

7. *Rosa indica maior* (ინდი-მაიორ). სიმაღლით იზრდება სამ არშინაშინისინ, იცის ხშირი მუქ მომწვანო ფოთლები, თითო ყლორტზედ იცის ხუთამდის ყვავილი, ჰყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს ცხრა გრადუს სიცივეს,

8. *Rosa noisettiana* (ვარდი ნოიზეციანა) ღონიერი აგებულებისაა, თითო ყლორტზედ იცის ორიდან ოცდა ათამდის ყვავილი, იცის თეთრი, ყვითელი და სპილენძის ფერი ყვავილი, ჰყვავის წელიწადში ორჯელ, იტანს ცხრა გრადუსამდისინ სიცივეს.

9. *Rosa barbonica* (бургонская—ბარბონიკა). იზრდება ოთხი არშინის სიმაღლით, ღონიერი აგებულებისაა, აქვს მსხვილი ტოტები და ფოთლები. ტოტები შემოსილია მსხვილი



ეკლებით, თითო ყლორტზედ იცის ხუთამდის ყვავილი, თეთრი, ვარდის ფერი და მუქი ფერის ყვავილები. ჰყვავის წელიწადში ორჯელ, იტანს ცხრა გრალუსამდის სიცივეს.

ვარდის დარგები და მოვლა.

ამ ზემოთ აღწერილ ვარდებს უნდება ერთნაირი მოვლა, ნიადაგი და გამრავლება. მრავლდებიან: გადაწვენით, ფესვების გაყოფით და პატარ-პატარა ტოტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო მყნობით კი ზაფხულობით. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ნორჩ ვარდის კოკორს, ფოთლებს და ყლორტებს უჩნდება თვალით უხილავი სენი, თითქო ფქვილი შეუყრიათო; თუ ამ სენს დროზედ არ უშველა ჭარბა, მცენარეს მაღვე ესპობა სიცოცხლე. ეს სენი მაშინ უჩნდება ვარდებს, როდესაც ჰაერში დიდი სიცხეა და სისველე; ამ სენის წინააღმდეგ ხშარობენ სხვა და სხვა წამალს:

1) მთელს ბუჩქს შეაშხაპუნეთ წყალი და შემდეგ პატარა საბერველით შეაყარეთ გოგირდის მტვერი;

2) მცენარეს შეაშხაპუნეთ წყალში მოხარული წეკოს თამბაქოს წვენი.

3) მცენარეს შეაშხაპუნეთ საპონ-წყალში გახსნილი თეთრი ნავთი. ამ სენს გამოჩენილი ექიმი რენო უწოდებს სახელად Aspergillus albicans (ასპერგილუს ალბიკანს).

ამ ზემოდ აღწერილ ვარდებს ვარდა, ოჯახებში შესანიშნავ და გამოსადეგ ვარდად ითვლება მაისის ვარდი; მისი ყვავილით ამზადებენ მურაბას.

ჩინჩეატი (Бересклетъ).

ჩინჩეატი ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმავეთში მცენარეის აგებულობით, ყლორტებით, ფოთლებით, ნაყოფით, სიმაღლით. ეს მცენარე გვარობს ყველგან და ყველა ნიაზაგზე, მთებში, ტყეში და მინდვრათ, სხვა მცენარეებივით ნაჩი არ არის, მას არ ეშინიან



არც სიცხისა, არც სიცივისა, ტოტები და ყლორტები ყვითელი ფერისა აქვს, მის მასალით ამზადებენ ჩიბუხის და მათრახის ტარებს და შპილკებს წალებისათვის. ნაყოფი მოწითალო ფერისა იცის, მწარე გემოსი, ხმარობენ კუჭის ჯასაწმენდათ, როგორც სასაქმელს ზეთს. ნაყოფის დანაყილი მტვერი (პორიშოქ) უებარი წამალია ადამიანის ჭის, სიბეცის, მუწუკების და მკბენარის წინააღმდეგ. ამ მცენარეს ბალებში და ყვავილნარებში არ უჭირავს თვალ-საჩინო აღგილი, მაგრამ დიბალ ჯიშს ჩინჩხატს კი უპირველესი აღგილი უჭირავს ყვავილნარების, ბალების და ეზოების დამშვენებაში, მეტადრე მოჭიელო, და მწვანე ფოთლებიანებს, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ მშვენიერ ფოთლებით არიან შემკულნი. მრავლდებიან: თესლით და პატარ-პატარა ტოტებით, გაზაფხულობით და ზაფხულობით.

უშაუშა (Пузырникъ).

ფუჩქუჩა ბევრი სხეა-და-სხეა ჯიშისაა, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე მთებში და ტყეში, ჰყვავის ყვითლად, ტოტები და ყლორტები შემოსილია კაკლის ტოლა პარკუჭებით, რომელშიაც იმყოფება ბაპარის ტოლა შავი თესლები. ამ მცენარეს მეურნეობაში არა აქვს ღიღი მნიშვნელობა, ხოლო შენოს და ლაზათის გულისათვის მას რგავენ ეზოებში და ყვავილნარებში. მრავლდება თესლით და ფესვების გაყოფით.

ძახველა, ჯახველა (Калина).

გვარობს ყველა ნიადაგზე, მთებში და ტყეებში, სიცივისა არ ეშინიან, ყვავილი მშვენიერი სუნისა იქვს. ნაყოფი წითელი, მობრტყო თესლია, რომელსაც ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, შიდა რუსეთში, ხმარობენ საკმელში; გარდა ამისა მის ნაყოფს ხმარობენ ხველების წინააღმდეგ. მოხარული ნორჩი ყლორტების წვენს ხმარობენ სურავანდის წინააღმდეგ,



რომლის წყალშიაც აბანავებენ სურავანდიან ყმნწვილებს. მის მასალას ხმარობენ საღურელოში. მათში არის ერთი შესანიშნავი, ოვალ-საჩინო, მსხვილ ყვავილიანი ჯიში, რომელსაც უწოდებენ, „ბულ-დენჯი“, მას რგავენ ყვავილნარების და ეზო-ების დასაშვენებლად. მრავლდება თესლით გაზაფხულობით.

იუმცა ეს ზემოთ აღწერილი მცენარეები გვარობენ ყველა ნიადაგზე, მაგრამ მათთვის საუკეთესო ნიადაგით ითვლება: ფხვიერი და ნოკიერი მაწა. ამისათვის დარგვის დროს სჯობია, რომ მიუმატოთ დამიწებული საქონლის ფეინი ან კიდევ და-მიწებული ტყის მიწა უბრალო მიწაში არეული. რაც შეეხება გადარგვის წესებს, ესენიც იმ წესით უნდა გადირგას, რო-გორც წინათ მქონდა აწერილი, ხოლო ერთი მცენარე მეო-რეს უნდა შორავდეს ორი არშინიდგან დაწყებილ სამ არში-ნამდის.

ბუჩქებიანი გვენარებები.

ამ რიგს ეკუთვნიან: ღიდგულა, დაფნი, ვირის-კუდა, თრი-მლი, თუთუბო, კანკარი, კატაბარდა, მაყვალი, ოლგუნი, ფა-სმინი, იასამანი, უცვეთელა, ხექრელი, ფიორი, ქაცვი, ლიჭი, შილანწლა, ძეძვი, ჯონჯოლი.

დიდგულა (Бузина).

ბევრი სხვა-და სხვა ჯიშისაა, რომლებიც ირჩევიან ერთ-მანეთში ფოთლებით, ყლორტებით, სიმალლით, ნაყოფით, ყვავილით, ფერით და სხვა. გვარობს ყველგან მთებში, ტყე-ში და მინდვრად. სხვა მცენარეებივით ნაზი არ არის, უყვარს ნოტიო ადგილი, ჰყვავის ოეთრ-მოყვითალოთ, მის მასალას მე-ურნეობაში არა აქვს დიდი მოთხოვნილება, თუმცა ზოგიერთ ადგილებში ხმარობენ ჭიგოს მაგიერ. ზოგიერთ ადგილებში, მეტადრე იმერეთში, მის შავ ნაყოფს დუღილის დროს უშვ-რებიან ღვინოში საფერავის მაგივრად, შავი ფერის მისაცემათ, მაგრამ ამით ღვინოს ეკარგება ბუნებითი გემო, სუნი, ლირ-



სება და აღამიანის სხეულზედაც ცუდათ მოქმედობს. — იცის თავის ტკივილი და გულის რევა. მის ქერქს, ფოთლებს, ყვავილს, ნაყოფს დიდი მოთხოვნილება აქვს აფთიაქებში; მეტაურე მის ყვავილს ხმარობენ ჩაის მაგიერ თულის მოსადენად გაციების ღრმას. მრავლდება ტოტებით, თესლით და ფესვების გაყოფით გაზაფხულობით და შემოღომით.

დაცნი (ლავრъ).

ვერ იტანს დიდ სიცივეს, ამისათვის გვარობს მარტო აფხაზეთში, იმერეთში, სამეგრელოში და ქ. სოჩის ახლო-შახლო. როგორც ყვავილს, ისე ტოტებს, ყლორტებს, ფოთლებს აქვს მიმზიდავი სუნი, ჰყევავის თეთრათ; როგორც გამძლე და მაგარი მცენარე, მის მასალას და ფოთლებს მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს: ფოთლებს ხმარობენ საჭმელებში გემოს მისაცემათ, წყალში მოხარულ ფოთლების წვენს ხმარობენ სირსველის წინააღმდეგ. ნაყოფით ჰხდიან ზეთს, რომელსაც ხმარობენ ძარღვების სისუსტის წინააღმდეგ (უნდა წაესვას). ნაყოფს კიდევ ხმარობენ დედათა მღინარების შესაწყვეტად. ამ მცენარეს უყვარს ნოტიო ადგილები და ქვიშა-ნარევი შავი ნიადაგი. როგორც თეალსაჩინო და შნორიანი მცენარე, მას რგავენ ყვავილნარებში, ეზოებში (სახლებში კი კათხებში). მრავლდება: თესლით, გადაწვენით და პატარ-პატარა ტოტებით, გაზაფხულობით და ზაფხულობით.

ვირის-ქუდა (კატრიფოლъ).

იზრდება ვაზის მსგზავსად, ე. ი. ვაზსავით იცის ახვევა, ამის გამო მას ხმარობენ შენობების დასამშვენებლად. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, ტყეში და მინდვრათ, უფრო ქვიან ადგილებში. ჰყვავის თეთრ-მოწითალო ფრათ, აქვს შშვენიერი სუნი. მის მასალას ხმარობენ საღურგლოში. მრავლდება: პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით და ფესვების გაყოფით გაზაფხულობით და შემოღომით.



თხიგლი.

გვარობს ყველგან და ყოველ ხრია ნიადაგზე; ამ მცენარის ფოთლებს როგორც საქართველოში, ისე რუსეთში და საზღვარ-გარეთ ქვეყნებში აქვს დიდი მოთხოვნილება (დაბახნებში). რიგელ ქვეყნებშიც მოდის ეს სასარგებლო მცენარე, იქ გაჭირებულ ოჯახის-შვილსაც არ უჭირდება ცხოვრება, რაღანაც თითო კაცს ყოველ წელიწადს შეუძლიან გაყიდოს ათი-ხუთმეტი თუმნის თრიმლი. ჰყავის მოწითალო ფრათ, ჰყავილი მისი კარგი სანახავია, შორიდან კაცშა რომ ნახოს, ეგონება დიდი თაიგულები ასხია მცენარესაო. ამისათვის ეშირად რგავენ ყვავილ-ნარების და ეზოების დასამშეენებლად; მრავლდება: თესლით და გადაწვენით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

თუთუბო (Кожевенное дерево).

გვარობს ყველგან მთებში, ხრია აღვილებში და ზოგიერთ აღვილებში მინდვრათაც. მის მეუვე ნაყოფს ოჯახებში (მეტადრე სათათრეთში) დიდი მოთხოვნილება აქვს, ასე რომ უამისოთ მწვადს არა სპამე; გარდა ამისა მის ნაყოფს ხმარობენ ძეხვებში, ტოლმაში და წვენში. ნაყოფს კარგათ ახმობენ მზეზე ან ცეცხლზე, მერე ფქვამენ ხელსაუქვევში ან ნაყავენ, შემდეგ ატარებენ სატერში და ისე ხმარობენ. ნაყოფი წითელი ფერისაა, მოპირტყელო, ზემოდან აყრია წვრილი ბუსუსი. ყლორტები და ტოტები მთლად შემოსილი აქვს პატარა-პატარა მტევნებით. როგორც ფოთლებს, ისე ნაყოფს ხმარობენ აფთიაქებშიაც. გარდა ამისა ფოთლებით და ყლორტებით ამზადებენ ზავ საღებავს, ნაყოფით კიდევ წითელ სალებავს, (краски). მრავლდება: თესლით, ფერსვების გაყოფით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომობით.



კანკარა კუდო, კენკრა (Бирючина).

გვარობს ყველგან, ტყეში, მთებში და მინდვრად, უყვარს
ნოტიო ადგილები, ჰყვავის თეთრად, ყვავილს აქვს მშვენიერი
სუნი. მცენარე მშვენიერი შეხედულებისაა, ხშირ-ტოტებიანი,
რის გამო მას რგავენ ყვავილნარებში, ეზოებში და ბაღებში
დასამშვენებლად, გარდა ამისა მას ხმარობენ ცოცხალ ლობე-
ების მოსაშენებლად. ფოთოლი შეა ზამთრამდინ მწვანეთ ინა-
ხება, იცის მსხვილი საფანტის სისხო, მწარე და შავი ნაყოფი,
რომელსაც ხმარობენ მატყულის და შალების შესალებად; ფოთ-
ლები მწარება. მის მოხარშულ წვენს ხმარობენ ციების წინა-
აღმდეგ, ქინაქინის მაგიერ. მისი წვრილი ყლორტებით სწნა-
ვენ კალათებს, მასალას—კიდევ ხმარობენ საღურგლოში. მის
ნახშირს ხმარობენ თოფის წამლის გაკეთებაში. მრავლდება:
თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, ფეხვების გაყოფით და
ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

კატა-ბარდა, ლომი (Ломоносъ).

ვაზსავით ბარდებს ეხვევა, მისი ყლორტები და ტო-
ტები ვაზსავით იზნიქება. ორ იმტვრევა, გვარობს ტყე-
ში ყველა ნიადაგზე, ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა,
ჰყვავის მოთეთროდ, მის ყვავილმა ბუმბულიერი ფრია-
ლი იცის ჰაერში, ასე რომ თესლი შიგ ყვავილშია მო-
თავსებული და როდესაც ყვავილი სცვივა, მაშინ თეს-
ლიც თან მისდევს. ამისათვის ვისაც უნდა ამ მცენარის თეს-
ლით გამრავლება, მან დროზე უნდა მოკრიფოს თესლი.
თორემ დარჩება ცარიელი. მას მეურნეობაში არა აქვს დიდი
მოთხოვნილება, ხოლო მის ყლორტებით სწნავენ კალათებს
და ზოგიერთ ადგილებში კიდევ მას რგაუნ ყვავილნარებში
შნოს გულისათვის. მრავლდება თესლით და გადაწვენით. ფეხვე-
ბის გაყოფით და ტოტებით გაზაფხულობით და შემდგომით.



81981440 (Ежевика).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველგან, ყველა ნიადაგზედ, ამას არ ეშინიან არც სიცივისა, არც სიცხისა და არც ღილი მოვლა უნდა, ერთი პაწია ფესვი რომ დარგოთ მიწაში, ერთ წლის განმავლობაში რამდენიმე საუკნის ტოლა ადგილს დაიკრეს, ამისათვის მას ხმარობენ ცოცხალ ღობეების მოსაზენებლად, ოლონდ ყოველ წელს უნდა გაისხლოს (გაიკრიჭოს), რომ ტოტები არ გაიბას აქეთ-იქით ბალებში და არ გაიკეთოს ფესვები. თუ ერთ წელიწადს დასტოვეთ უყურალებოთ, მაშინ სულ მოედება იქაურობას. მისი შავი და მსხვილი ნაყოფიდამ ამზადებენ მშვენიერ საგანგებო მურაბებს, უელეს და სხვა და სხვა სასხვლებს. მრავლდება თავის თავათ, გადაწვენით და ფესვებით.

ოლგუნი (Гребенчукъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს მლაშე, ხაშურიან ნიადაგზე (на солончаковой почве) მტკვრის და ალაზნის ნაპირებზე, აგრეთვე ბაქოს და ერევნის გუბერნიებში. ყლორტები და ტოტები მოწითალო ფერისა აქვს, ფოთლები მწვანე, მოთეთრო ფერისა. მისი ყლორტები გამოსაღებია მარტო ჩიბუხების და მათრახების ტარებად. სხვაფრივ კიდევ ზოგიერთ ადგილებში შნოს და ლაზათის გულისათვის რგავენ ყვავილნარებში და ბალებში. მრავლდება გადაწვენით, პატარა პატარა ტოტებით და ფესვების გაყოფით შემოდგომით და გაზაფხულობით.

ჟაშინი (Жасминъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთ-მანეთში ფოთლებით, ყლორტებით, ყვავილით და მცენარის აგებულებით. გვარობს ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად: იმერეთში, ყარაბაღში, დარუბანდის ახლო-მახლო, უყვარს ნო-



ყიერი ნიადაგი, რამდენათაც მცენარე კარგ პირობებში იქმნება
შენახული, იმდენად ერთი-ორად ემატება, უმსხვილდება ყვა-
ვილი და შესანიშნავი სუნიც ეძღვევა. ჰყვავის თეთრათ, მის
ყვავილით კარგათ სარგებლობს ფუტკარი. მის მასალას მეურ-
ნეობაში არა აქვს დიდი მოთხოვნილება, მაგრამ როგორც
მშეგნიდრ-ყვავილიანი მცენარე, მას რგავენ ყვავილნარებ-
ში, ბალებში და ეზოებში დასამშევნებლად. მრავლდება: გა-
დაწვენით, ფესვების გაყოფით და პატარ-პატარა ტოტებით
გაზაფხულობით და შემოდგომობით.

იასამანი (Сирень).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, ზოგი თეთრ-ყვავილიანია,
ზოგი სოსანი, ზოგი ნარინჯია, გარდა ამისა ერთი-ერთმანეთ-
ში ირჩევიან ფოთლებით, ყლორტებით და ყვავილის აგებუ-
ლებით. მცენარე გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, მაგ-
რამ უყვარს ნოყიერი ნიადაგი; რამდენადაც მომეტებული ნო-
ყიერება ექმნება მიწას, იმდემად უმსხვილდება ყვავილი, დიდ-
ხნობამდისინაც ჰყვავის და სუნიც ერთი-ორათ ემატება; რო-
გორც შნოიანი და თვალსაჩინო ყვავილიანი მცენარე მას ამ-
რავლებენ: ყვავილნარებში, ბალებში და ეზოებში შნოს და ყვა-
ვილის გულისათვის. მცენარე ჰყვავის ყველაზე აღრე, ყვავილე-
ბი მტევნის მსგავსი აქვს, მოგრძელო. მრავლდება: გადაწვე
ნით, ბლარტებით, ფესვების გაყოფით და პატარ-პატარა ტო-
ტებით გაზაფხულობით და შემოდგომით.

უცვეთელა (Ночной жасминъ, Чубушникъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველგან და ყვე-
ლა ნიადაგზედ, მას არ ეშინიან არც დიდი სიციისა, ეს იმით
ზტკოდება, რომ ამ მცენარეს ჰეტერბურგშიაც ამრავლებენ
ბალებში. ჰყვავის თეთრად, მის ყვავილით სარგებლობს ფუტ-
კარი. გარდა ამისა ამ მცენარის ყვავილით ამზადებენ სხვა და



სხვა სასუნებლებს (ლუხი), პომადას, სასმელებს და ზოგიერთ ადგილებში ხმარობენ ჩაის მაგიერ. ტოტებით და ყლორტებით ამზადებენ ჩიბუხებს. როგორც შნოიანი და ლაზათიანი მცენარე, მას რგავენ ყვავილნარებში და ბალებში შნოს გულისათვის. მრავლდება: ფესვების გაყოფით, გადაწვენით და პატარ-პატარა ტოტებით შემოღვომით და გაზაფხულობით.

ხეძრალი (კრუშინა).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთ-მარანერთში ყვავილის, ფოთლების, ყლორტების და ტოტების აგებულობით. გვარობს ყველგან ამიერ-კავკასიაში, მთებში და ტყეებში, უყვარს ნოკიერი ნიადაგი, ჰყვავის მოყვითანოდ. ეს მცენარე იმით არის შესანიშნავი, რომ ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლებით არის შემკული. ნაყოფი რგვალი, დიღრონ საფანტის ტოლა აქვს; შემოუსვლელი ნაყოფი მწვანე ფერისაა და როდესაც დამწიფდება — შავდება, მწარე გემოსია, ხმარობენ აფთიაქებში. მის მასალას ხმარობენ მეწალები შპილკებათ. როგორც შნოიანი და თვალ-საჩინო მცენარე, მას რგავენ ყვავილნარებში და ბალებში. ზოგიერთ აღგილებში მას ხმარობენ ცოკხალ ღობების მოსაშენებლად. მრავლდება: თესლით, ბლარტებით და პატარ-პატარა ტოტებით გაზაფხულობით და შემოღვომით.

ვარალო (Плющъ).

ეს მცენარე სხვა მცენარეებსავით ცალკე არ იზრდება, ამას უყვარს სხვა ხეებზედ და ბარდებზედ ახვევა, რის გამო ფათალო მარტო სხვის მცენარეების საზრდოოთი სარგებლობს-ს ცხოვრობს. ამ საბუთის დასამტკიცებლად ბევრ გამზარ ხეს ნახავთ ტყეში ამ უსარგებლო მცენარისაგან. ამისათვის, როდესაც ნახავთ რომელიმე ხეზედ ასულს, მაშინვე ძირიანად ამოსჭერით ხოლმე ფათალოს დაკლაკნული ღერო და ამოჭრილი აღგილები

გაამსეთ ტალახით. ეს მცენარე იმით არის შესანიშნავი რომ ზამთარ-ზაფხულს მწვანე, ბრტყელ, მსხვილ, რგვალ ფოთლებზი და შავ (რომა მწიფე) რგვალ მუხუდოს ტოლა ნაყოფ-შია შემკული, რის გამო ამას ხმარობენ ზამთარ-ზაფხულ გი-რილიანდებით დასამშვენებლად: ოთახებისა, შენობებისა და საღ-გურებისა. მარტო ამით არის გამოსაღევი ეს მცენარე.

ვითრი (Omelet).

უსარგებლო მცენარე და სხვის ხარჯზე, ე. ი. სხვის საჩ-რდოთი სცხოვრობს, ამან ხის ტატებზე იცის ამოსვლა, უფ-რო ხშირად მრავლდება მსხალზე, ვაშლზე და ვერხვზე; უყვარს ნოტიო წელიწადი, რამდენადაც სინოტივე მეტი ექმნება, იმდენად მალე ხშირდება, იზრდება თავისუფლად და მოკლე დროის განმავლობაში უსპობს სიცოცხლეს მცენარეს. ფიტრი მორგვალო აგებულებისაა, რომელიც შესდგება მრა-ვალ პატარ-პატარი ყლორტებისკან, წერილი, ვიწრო მოკვი-თანთ ფოთლებით და მსხვილ საფანტის ოდენა მოთეთრო ნა-ყოფით, რომელიც წებოსავით ეკვრება ადამიანს თითებზე; შორიდან რომ ნახოთ ფიტრი, გეგონებათ ტოტებზე ნახევარ ბუჩქიანი რგვალი მცენარეები დაურგავთო. ამ უსარგებლო მცენარის გაჩენა უნდა მივაწეროთ ორ-გვარ მიზეზს: 1) ფიტ-რი უჩნდება ხეს მაშინ, როდესაც ხეები დარგულია ჭობიან, ან მომეტებულ ნესტან ნიადაგში; 2) ან კიდევ, როდესაც ხეები მოკლებული არიან საზრდოს (ნოუერობას). პირველ შემთხვევაში, იმ ადგილში, საღაც ხეხილია დარგული, რამდე-ნიმე ადგილის არხები უნდა გაითხაროს და ამ რიგათ მოსპოთ სინესტე; მეორე შემთხვევაში კაღევ ხეხილის გარეშემო ერთი საუკის სივანეზე და ერთი არშინის სილრეზე ამოთხარეთ, შიწა გადაყარეთ ცალკე, იმ მიწის მაგიერ ხის ძირში ჩაყარეთ (დამიწებული საქონლის ფეინი, ან კიდევ ადამიანის ოქრო განავალი), მიწაში არეული, ოლონდორინაწილი განავალი იყვეს



და ერთი ნაწილი მიწა. მარტო ამისთანა ღონისძიებით შეიძლება კაცები გადაარჩინოს ხეხილი ამ სენისაგან. მის ნორჩის ყლორტებს და ფთოლებს ხმარობენ აფთიაქებში, შეშინებულ ისტრიკიან და სხვა ნაირი ავადმყოფობის წინააღმდეგ. ფთორით ჰქონდებავენ ცხვარს და საქონელს, გარეული პირუტყვებიც და ფრინველებიც იკვებებიან მის ნაყოფით.

თაცვი, ჩხარდელა (Облѣпиха).

გვარობს ყველგან ამიერ კავკასიაში, ყველა ნიადაგზედ. სხვა მცენარეებრვით არ არის ნაზი, არ ეშინიან არც სიცივისა, არც სიცხისა, უყვარს ნოტიო ადგილები, ამისათვის გას მომეტებულ ნაწრლად შეხვდებით წყლის ნაპირებზე. ამ მცენარეს მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, ჯერ ერთი, როგორც გამძლე მცენარე მის მასალას ხმარობენ ვენახებში ჭიგოთ და მეორეც, როგორც ხშირი ეკლიანი მცენარე მას ამრავლებენ ცოცხალ ლობეების მოსაშენებლად (для живых изгородей). იცის მოთეთრო, ვიწრო და მოგრძელო ფოთლები, ყვითელი მომებავო ნაყოფი (მსხვილი საფანტის ტოლა). ეს ნაყოფი უპირველეს საჭმელს შეადგენს ხოხებებისას, ამისათვის სადაც ეს მცენარე გვარობს, იქ უკველია ხოხების ბინა უნდა იყვეს. გარდა ამისა, მის ნაყოფს ხმარობენ სხვა და სხვა სასმელებისთვის გემოს გისაცემათ. როგორც შნოიანი მცენარე მას ხშირად რგვენ ყვავილნარებში და ბალებში შნოს გულისათვის. მრავლდება: თესლით, გადაწვენით, ფეხვების გაყოფით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

ლიჭი, ბურჭუმალი (Дереза).

გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, ტყეში და ბაზადებში, ამასაც უყვარს ნოტიო ნიადაგი, ეს მცენარე ძალიან გრძლათ იბამს თავის ყლორტებს, და ძალიან მიღლაც აღის ხეებზედ, რის გამო რომელ ტყვშიაც ხირობს ღიჭი, იმ ტყეში

არც ადამიანს, არც ნადირს არ შეუძლიანთ გაიარონ თავი—
სუფლად. იცის მსხვილი მწვანე ფოთლები და მუხულოს ტო-
ლა წითელი რგვალი ნაყოფი. ეს ნაყოფი შეადგენს მშვენი-
ერ საქმელს ფრინველებისას, მეტადრე შაშვებისას. მის მასალას
დიდი მოთხოვნილება არა აქვს შეურნეობაში, ხოლო ყლო-
რტებით სწნამენ კალათებს. თუმცა ზოგიერთ ადგილებში მას
ხმარობენ ცოცხალ დობების მოსაშენებლად, მაგრამ მე ჩემის
მზრით არ ვურჩევ ჩვენს მემამულებს, რადგანაც ამანაც მა-
უვალივრთ იცის აქეთ-იქით გაბმა იავისი ტოტებისა, თუ დრო
გამო შეებით არ გაიკრიპტა (არ გაისხლა). ეს კი შნოს და ლა-
ზათს დაუკარგამს ლობეს, ხოლო მის ფოთლებს ხმარობენ მუ-
წუკების და იარების გამოსარწყავათ, მაგალითად, როდესაც
მუწუკი დაჩირქდება, აიღეთ ერთი ფოთოლი, დაასველეთ წყალ-
ში და ისე დაადეთ დაჩირქებულ მუწუკს; ერთი ან ორი საა-
თის შემდეგ მუწუკი გამოირწყვება, (ოლონდ გამოსარწყავათ
მომზადებული მუწუკი და არა მკვახე). მრავლდება თესლით
და ფესვებით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

შვინდ-აჭლა (Γλογά).

გვარობს ყველა ნიადაგზე, მთებში და ტყებში. ერთი შე-
ხედულობით ჰგავს შეინდს, ოლონდ ნაყოფს არ იძლევა, მისი
ნაყოფი წვრილი (საფანტის ტოლა), შავი და მწარეა, ყველა
ყლორტი ან ტოტი წვერში გამოიტანს ხოლმე რამდენიმე წო-
წკს, ამ წოწკებზე იშლება თეთრი ყვავილი; როდესაც ყვავი-
ლი დაყვავილდება, მაშინ ისახება წვრილი და მწვანე ნაყოფი,
რომელიც თან-და-თან მსხვილდება და შავდება. ნაყოფი მწა-
რეა. მისი სწორე ყლორტებით და ტოტებით ამზადებენ ჯო-
ხებს და თოფის ზუბებს, აგრეთვე სწნავენ კალათებს, გოდ-
რებს და საბუღებებს. მცენარე გამძლეა, ცოცხლობს დიდ-ხნო-
ბამდე, მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით
და შემოდგომობით.



გეპვი (Держи дерево.)

გვარობს მთელ კავკასიაში და ყველა ნიაღაგზე, მისი ტორები და ყლორტები მთლად შემოსილია ეკლებით, რის გამო მას ხმარობენ ცოცხალ ლობების მოსაშენებლად. ამ მცენარეებაც ისეთი ბლარტობა იცის, როგორც მაყვალმა, ამისათვის დარგვის შემდეგ უნდება დიდი ყურის გდება. ჰყვავის მოყვითანოდ, შემდეგ ისხამს ორ-კაპეიკიანის ოდენა ნაყოფს, რომელიც ჯერ მწვანე ფერისაა, როცა დამშიფდება წითლდება, ამ მაგარ ნაყოფში იმყოფება ვარცყველი თესლი. მოჭრილ ძეძვს ხმარობენ ლობების გასაახლებლად. მრავლდება: თესლით, ფესვების გაყოფით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგმით.

ჯონჯოლი (Клекачка).

ეს მშვენიერი და სასარგებლო მცენარე გვარობს ზოგადოდ ადგილებში, მაგ: დასავლეთ ამიერ კავკასიაში, ქართლში და კახეთში, მთებში და ტყეში, ჰყვავის მტევნების მსგავსათ ვარდის ფრათ; როდესაც მცენარე შუა ყვავილშია, მაშინ მის ყვავილს ჰკრეფავენ და მწნილად სდებენ, რომელიც დიდი მოთხოვნილება აქვს. რადგანაც მცენარე თავის მშვენიერი აგებულობით და ყვავილით ამშვენებს სხვა მცენარეებს, ამისათვის მას რგავენ ყვავილნარებში და ბალებში შნოს გულისათვის. მის სწორე ტოტებს და ყლორტებს ხმარაბენ ჩიბუხებათ. ახალგაზდა ტოტები და ყლორტები მოთეთრო ფერისაა, ხოლო როდესაც დამშიფდება — მოწითანი. როდესაც ყვავილი დარჩება მოუკრეფავი, მაშინ ისახება კაკლას ოდენა პარკუქები, რომელ შიაც ისახება მსხვილი საფანტის ტოლა, მაგარ-კანიანიანი თესლი. მის თესლით ჭხდიან ზეთს, მრავლდება: თესლით და ფესვების გაყოფით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

გარეული ნახვარ-ხევა (Полудеревья).

სამოქანაკოდი
აშშობითი კურსი



ამ რიგს ეკუთვნიან: კუნელი, ლვია, ჩნავი, ჭნორი, კურ-
ლლის ცოცხა.

კუნელი (Боярышник).

ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა, რომლებიც ერთი ერთმა-
ნეთს ერჩევიან ნაყოფის სიმსხოთი, ფერით, გემოთა, ფოთ-
ლების, ყლორტების და ეკლების აგებულობთი. გვარობს
ჟველგან მთებში, ტყეში და მინდვრებში, სხვა მცენარეები-
ვით არ არის ნაპი, კარგათ გვარობს ხრიაკ აღვილებში, ჰყვა-
ვის თეთრათ, მის უვავილით სარგებლობს ფუკატრი. მცენა-
რე მთლიად შემოსილია დიდრონ ეკლებში, რის გამო მას
ხმარობენ ცოცხალ ლობების მოსაზენებლად, მაგრამ ჩემის
მხრით არ ეუტევ ჩვენს მემამულებს ამ მცენარეების
დარგვას ლობებათ ხეხილის ბალების გარეშემო, რადგანაც
ამას ყოველ წელიწადს გაზაფხულიდან დაწყებილი შემო-
დგომამდისინ ახვევია ხოლმე ბუსუსიანი მატლი, ჭია, რომელ-
საც ტოტებზედ და ყლორტებზედ გუნდ-გუნდათ შეხვდებით
აბლაბუდის მსგავს ძაფებში შეხვეულს; როდესაც მატლი იჩე-
კება თესლიდგან და როდესაც ხეხილი გაფოთლდება და
დაიწყებს ყვავილს, მაშინ ეს მატლი გადადის ხეხილზე (მე-
ტალრე ვაშლზე), რომელსაც უჭამს ყვავილს და ფოთლებს,
რის გამოც ხე მოკლე ხნის განმავლობაში სრულებით ტატ-
ვლდება და რა თქა უნდა მცენარე ამით ზარალდება. ამ მატლის
მოსასპობათ ხმარობენ სხვა-და-სხვა წესებს, მაგალითად:
1) მატლი აბლაბუდიანად და დაზარალებულ ფოთლებიანად
სიფრთხილით უნდა აიკრიფოს ხელით, ჩიყაროს რომელიმე
კურქელში, რომ მატლი არ დაიბნას, შემდეგ მატლს დაას-
ხით ცოტა ნავთი, მოუკიდეთ ცეცხლი და დაწვით. 2) წეალ-
ში მოხარშეთ თამბაქო (წეკო) რადენიც გნებავდეთ, შემდეგ
გადმოდგით ცეცხლიდამ, დააციეთ, წვენი ვალაწურეთ და



ამითი ასტურეთ ის ტოტები და ყლორტები, რომელზედაც
ახვევია მატლები. 3) აიღეთ ვაზისთვის მომზადებული კირ-
ში გახსნილი (растворъ) სპილენძის შაბაამნის (წყალი) და
იმით ასხურეთ ყლორტებზე და ტოტებზე, სადაც ახვევია ეს
მატლი. როგორც გამძლე მცენარე, მას მასალას ხმარობენ
ვენახებში ჭიგოთ და სხვა მასალათ, მრავლდება თესლით
გაზაფხულობით და შემოდგომობით.

ღვია (Можевельникъ).

ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან
ერთმანეთში ნაყოფის ფერით, სიმსხოთი, დამწების დრო-
თი, ყლორტების და ფოთლების აგებულებით, აგრეთვე მცე-
ნარის სიმაღლით, ზოგი იზრდება ბუჩქებად, ზოგი ნახევარ
ხეებად; ეს მცენარე ზამთარ-ზაფხულ შემკულია მწვანე ფოთ-
ლებით, გვარობს ზოგიერთ ადგილებში, მაგალითად, ქ. ანა-
კაში, ნოვოროსიესკში, ყირიმში, მცხეთაში, ბურჯომის
ხეობაში (მოებში), შირაქის მთებში, აგრეთვე იმერეთში, გუ-
რიაში და სამეგრელოში, სიცივისა არ ეშინიან, გვარობს
ხრიაკ ადგილებში. ნაყოფი მუხუდოს ტოლა იცის, მინამ
დამწიფდება მწვანე ფერისა, როდესაც დამწიფდება, შავდე-
ბა, ასეია წვრილი წვერიანი ფოთლები, რომლებიც ეკალი-
ვით იჩვლიტებიან, ხოლო ზოგიერთ ჯიშის ღვიას ისეთი
მსხვილი ეკლები აქვს, რომ ადამიანს არ შეუძლიან ახლო
შიკარება, რის გამო ამისთანა ჯიშის ღვიას ხმარობენ ცოც-
ხალ ღობების მოსაშენებლად. მასა ხმარობენ მეურნეობაში,
ნაყოფი მშვენიერი სუნისა აქვს, ყავასთან ერთად დახალული
ნაყოფი შეაღევნს უებარ წამალს ქარებით ავაღმყოფების წი-
ნააღმდეგ (противъ ревматизма). გარდა ამისა ამ მცენარის
ნაყოფს, არაუში ჩაყრილს (настой), ხმარობენ აღამიანის
კუჭის გასამაგრებლად და შარდის შეხუცვის წინააღმდევ. მრავლდება; თესლით გაზაფხულობით და შემოდგომობით.



კატეგორია (კატეგორია) თინდერის თუციაგანი აუ ითვალისწინებული მართვის უძრავი მართვის ალგორითმი (Topoly).

გვარობს უკელვან და უკელა ნიადაგზე, ოღონდ უყვარს ნოტიო მიწა; ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ფერით, ფოთლებით, ყლორტებით, ტოტებით და მცენარის აგებულებით; თუმცა ამ მცენარის მასალას დიდი მოთხოვნილება არა აქვს მეურნეობაში, მეტადრე როცა სხვა ხე იშოვება, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში, სადაც სხვა ხეების ხსნება არ არის, ამ ხის მასალას ხმარობენ შენობების ასაგებათ. ამ ხეს შეხვდებით იმ ადგილებშიაც, სადაც სიცივის გამო სხვა ხეები არ იზრდება, მაგ., ხამურის და ახტის ოლქებში (დალესტანში). იქ ამ ხეს უჭირავს მეურნეობაში უპირველესი ადგილი. ჩვენ საქართველოში ამ ხეს რგავენ ბაღების გარშემო, ან ეზოებში, შნოს გულისათვის ან კიდევ ჩრდილოეთის მხარეს დიდი ქარების ასაცილებლად (противъ болышихъ вѣтровъ). როგორც ხე, ისე ტოტები და ყლორტები მოთეთრო ფერისაა, ფოთლები კი მწვანე. ეს ხე იმით არის შესანიშნავი, რომ ამ ხემ არ იცის სხვა ხესავით ტოტების აქეთ-იქით გაშვერა, ამისი ტოტები ერთავად მაღლა აშვერილია, აქეთ-იქით არ იზნიქებიან. მრავლდება: ტოტებით და ბლარტებით, გაზაფხულობით და შემოდგომით. ალვის ხეებში უმჯობესია შემდეგი ჯიშები: 1) თურქესტანის ალვის-ხე და 2) ბალზამის ალვის-ხე. პირველი იზრდება იმავე წესით, ოღონდ სიმაღლით იმაზე დაბალია, მაგრამ განიერ-ტოტებიანია. რაც შეეხება ქერქს, ტოტებს, ყლორტებს და ფოთლებს სულ მოთეთრო ფერისაა. მეორე ჯურა იმით არის შესანიშნავი, რომ ვაშლის ხესავით რგვლად იზრდება, თითონ ხეს, ტოტებს და ყლორტებს თეთრი ქერქი აქვს, მაგრამ ფოთლების ზემო მხარე მწვანე ფერისაა, ქვეითა მხარე კი მოთეთრო ფერისა. თვითონ ფოთლები აგებულებით ჰგვანან მსხლის ფოთლებს, მეტადრე როცა ნორჩია. ამ ხის ყლორტები შემოსილია

მსხვილი და მოგრძელო კვირტებით (почками), რომლებსაც
ჰემოლან აცხია თავისი წებო. როგორც ტოტს, ისე ყლორტს
და კვირტებს ასდის მშვენიერი სუნი. ამ ორივე ჯურა ხეს
რგავენ ბალებში და ყვავილნარებში შნოს გულისათვის. ეს
ხეებიც ისე მრავლდება, როგორც ჩვეულებრივი აღვის ხე.

არზი (Береза).

ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა, გვარობს კავკასიაში, ყვე-
ლა ნიადაგზედ, მაგრამ უფრო ნოტიო ნიადაგი უყვარს, ვად-
რე ხმელი; მცენარე ერთ-სახლობიანია (однодомное), ასე
რომ დედალი და მამალი ყვავილები ერთ და იმავე ხეზედ აქვს.
როგორც ხე, ისე ტოტები, ყლორტები და ფოთლები მოთვე-
რო ფერისა აქვს და მშვენიერი სანახავიც არის, რისგამო მას
რგავენ ბალებში და ეზოებში შნოს გულისათვის. მის მასა-
ლ ას მეურნეობაში, მეტადრე საღურგლოში, დიდი მოთხოვნი-
ლება აქვს. მის ფოთლებზე მდგარი არაყი შეადგენს უებარ
წამალს ქარებისა და მუწუკების წინააღმდეგ. მცენარის წვენი
ტყბილია, რისგამოც მრთი აკეთებენ ღვინოს და შაქარს,
გარდა ამისა პერიან ზეთს, რომელსაც რუსულად უწოდებენ
(березовое масло). რუსეთში ზოგიერთ ადგილებში მის
ქერქს ფქვამენ, ურევენ ფქვილში და აცხობენ პურს. იმე-
რეთში მის ქერქით აკეთებენ სარტყებს ქვევრების დასარეც-
ხათ. მრავლდება: თესლით შემოდგომით და გაზაფხუ-
ლობით.

აგრეშუმა (Акация).

ეს მშვენიერი და თვალ-საჩინო ხე გვარობს ზოგიერთ
ადგილებში, ისიც თითო-ოროლა, მაგრამ ლენჭორანის მაზ-
რაში კი ამ ხეებიდამ შესდგება მთელი ტყეები. როგორც ტოტე-
ბი, კი ისე ყლორტები ტიტვლები აქვს, რომლებიც წვერში
შემოსილნი არიან მოგრძო, წვრილი და შნოიანი ფოთლებით.



ჰყავის მშვენივრად თეთრ-მოყვითალოდ, ყვავილი სიღიღით ვარდის ოდენაა, რომლებიც ამშვენებენ ხეს. ამაზედ მშვენივრი და ლაზათიანი ხე ყვავილნარებში ბევრი არ მოიპოვება, რის გამო მას რგავენ ეზოებში და ყვავილნარებში შნოსა და ლაზათის გულისთვის. ამ აკაციას იმისთანავე პარკები აქვს, როგორც უბრალო აკაციას (ლობიოს ხეს), ხოლო თესლები ხორბლის ფერისაა. მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, მის გამხმარ ყვავილს ხმარობენ როგორც ჩაის. მისი ფოთლები იმით არის შესანიშნავი, რომ, როდესაც ხელს მოახვედრებოთ ან როდესაც ცუდი ამინდებია, შეიხრუება, შექცნება, ხოლო, როდესაც კი დადგება კარგი მზიანი დარები, მაშინ ისევ იშლება და ჟესანიშნავადაც უბრკყვინავს ფოთლები. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

აკაძი (Karkas).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ფოთლების, ყლორტების და ნაყოფის აგებულობით, სხვა მცენარესავით ნაზი არ არის, ყველა ნიადაგს კარგათ იტანს, გვარობს მთებში, ტყეში, მინდორში, არ ეშინიან ხრიაკ ადგილებისა, როგორც გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება. ნაყოფი კურკიანია, ბალა-მწარი ნაყოფის სიმსხო, ზემოდამ აკრამს ხორცი (მაკოთ), შემოუსვლელი მწვანე ფერისაა, როცა შემოვა შავ-დება, ნაყოფს სჭამენ, ცოტა მომჟავო გემოსია. ამ ნაყოფით უფრო სარგებლობენ ფრინველები. მის ნაყოფს ხმარობენ აფთიაქებში სისხლის ფალარათობის წინააღმდეგ (противъ кроваваго поноса). თუმცა მე არ მიცდია, მაგრამ ამბობენ, რომ მისი ნორჩი ფორლებით ჰკვებავენ აბრეშუმის ჭიას, მის ქერქს ხმარობენ დაბახანებში. როგორც შნოიანი და ლაზათიანი ხე, მას ხშირად რგავენ ბალებში, ეზოებში და ყვავილნარებში. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.



ბზა (Самшинъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში სიმაღლით, ფოთლების ფერით და აგებულობით. ზოგი იზრდება დიდრონ ხეებად, ზოგი ბუჩქებად, ზოგი კიდევ ნახევარ ბუჩქებად, ზოგი მწვანე ფოთლებიანია, ზოგი მოქრელო ფოთლებიანი. დაბალ ჯურის ბზას უფრო ყვავილნარების მოსართვად ხმარობენ (употребляются для бордюровъ). ეს მცენარე გვარობს ყველგან და ყველა ნიაღაგზედ, მთებში და ტყეში, უყვარს კლდიანი ადგილები, მაგრამ იძრეთში, გურიაში, აფხაზეთშა, სამეგრელოში, სვანეთში და ბათომის ოლქში ამ მცენარით შესდგება დიდრონი ტყეები. როგორც გამძლე და მშვენიერი ფერის მცენარეს მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. ქერქი მწვანე მუქი ფერისა აქვს, მაგრამ კანი და გული კი ყვითელი ფერისა აქვს, როგორც ზაფრანა. ჰყვავის ზოგან თებერვალში, ზოგან მარტში, ზოგან აპრილში ყვითლად, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. როცა მცენარე აყვავდება, მაშინ ისახება წვრილი მწვანე ნაყოფი, რომელიც სავსეა წვრილი თესლით. როგორც შემოუსვლელი ნაყოფი, ისე თესლი მომწვანო ფერისაა. როდესაც ნაყოფი დამწიფდება, მაშინ ორივე იღებენ მუქ მოწითალო ფერს, აქვს რგვალი თესლი, თუ ნაყოფი დროზედ არ მოიკრიფა, დასქდება ხოლმე და თესლი სულ ერთიანად ებნევა. რამწამს მოქრეფამთ თესლს, იმავე წამს უნდა დაითესოს დამიწებული სასუქით გაპატიმრებულ კვლებში, თუ თესლი დარჩა დიდნობამდისინ დაუთესავი, მაშინ მას ეკარგება ლირსება და ოლარ ვარგობს დასათესად. ეს მცენარე ძალიან ნელნელა იზრდება, ამის გამო მას მოაქვს პირველი ნაყოფი მარტო ოცდა ათი წლის თავზე. ცოცხლობს ხუთას წლამდისინ. ეს მცენარე ზამთარ-ზაფხულ შემკულია მწვანე ფოთლებით; ამ მცენარეს უწინდელ დროს ხალხი წმინდა მცენა-



Իյտ սոցլուգա და օվկիան յիհուսիւրուանցիւ ամ մպրենարյես շպառ-
հեցեն հոգուրը ֆմինդա եցէ, հուսցամուց ծնոბիս գլցես զուգ
զարուաստրում յըցիւ յըցիւ մուս բուրցիս զուգ დա զարարա. յիշո-
նց լու միջերլուց մուս սուրպուտ, հոգուրը մուս նայուցի, ույ մուս
չեամուան յուտլուց արա դրուս ար յըցարյեթա (արա սփամի) սայու-
նց լուգու, ամուսատցու մուսու պազուլուց Մյալցին սայարցցածու սա-
չիւրուս պարուրուսատցուսառ. մարտլապ, համդենուց պարուրուց
մոմոյւ յըցուա, արպ յրտելը ար մոնաեցէ, հոմ սայոնցը ան
պեցնս, ան պեցարս Մյեյքամուս մուսու յուտլուց ան նորին պար-
հուցիւ. Մուսա լա լանչատուս ցուլուսատցուս հաս հրացեն ծալցիշո,
յինց յիշու დա պազուլնարյեթո, ոլոնց დարցուս դրուս, մօ-
ծուու խալքու մաս պարից վիմինդա ագցուլուս, հոմ մուս ցարյշեմու
ար ուցցես պարուրուց ամուսատցուա: մրավլուց դա զարարա
բուրցիւ ցանագեցնունուտ დա Մյեմուցցունուտ.

ՅԵՒԵՑՈ (ԵԽՈՂԻՍՏԻԿԱ).

Ցարուն նուրու ագցուլուս, ուսուց բույց յիշու դա մոնց-
հեցիշո, պարու նուրու ագցուլուց ամ մպրենարյ յրտ սանլունու-
նու, յ. ո. գուգալու դա մամալու պազուլուց ամ մուցցան ուցցու
յրտ եցից; հոգուրը եց, ույ մուսու պարուհուց իմպուցցան ուցցու
յուտլուց յիշեմուտ մեարյ մուտետրու յուրուսա, այց մենցուլու
դա ամովրունու յուտլուց ամ եց սեց եցեցուց արա այց մա-
ցարու ցուլու, ծցըրու մատշու յուլուրու, ամուսատցու հայեն սայա-
հուցըլուշու, մյուրագու նայատլուս մանրանի, մուսցան ամնալուց նու-
գու նացեն պարունու գասաթուրու ան կուցը նամտրունուտ
Մուգ կուցը նուրուն կասրցնու, հոմլուց մուսու ունաեցը նուրու, յիշու,
յուրից դա սեցա. ագրետց մուսու մասալունուտ այցուցն իմսյունուս
լարյեն, եռնիցն, զարուցն դա սե. յրտու սուրպուտ, եց դո-
ւու մուտեռունուց այց մյուրներունունի. մուս նույրունու (նորին
պարուհունուտ) նամտրունուտ կուցն պարու սայոնցը, պեցարս դա



თხებს. როგორც შნოიანი ხე, მას ხშირად რგავენ ეზოებში ჩრდილის გულისათვის. მრავლდება: ტოტებით და ბარტყებით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

თელა (ИЛИМЪ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ფოთლებით, ყლორტების და ტოტების აგებულებით და აყვავების დროთი. მათში ითვლება ერთი შესანიშნავი თელა, რომელიც ზემოდამ შემოსილია პრობკის მსგავსი ქერქით, ამისათვის მას ლათინურად უწოდებენ „ულმუს ზუბერუზუმ“. ყველა ჯურა თელა გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, ტყეებში და მინდვრებში. უყვარს ცოტათი ნოტიო აღგილები; ყლორტები და ტოტები მუქ-მოწითალო ფერისა აქვს და მოგრძო, ვიწრო მწვანე ფოთლები. როგორც მაგარი და გამძლე ხე მის მასალას დიდი მოთხოვნილობა აქვს მეურნეობაში, მაგალითად, აკეთებენ ურმის და ეტლების თვლებს, ურმებს, პოვოსკებს, გემებს და შენობებს. ცოცხლობს სამას წლამდის. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

იზანი (Ясенъ).

ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ფოთლების, ყლორტების და ტოტების აგებულობით, აყვავების დროთი და სხვა. გვარობს მშრალ ნიადაგზედაც, არ ეშინიან არც დიდი სიცივეებისა, არც დიდი სიცხეებისა, მცენარე ორ-სახლობიანია, ე. ი. ერთ ხეზედ რომ მამალი ყვავილები აქვს, მეორე ხეზე დედალი (ДВЕТЬЯ ДВУДОМНЫЕ). ამ მცენარეს ჯერ გამოაქვს ყვავილი, მერე ფოთლები. როგორც მაგარი და გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. მისი ფოთლები, ნაყოფი და ქერქი მწარე გემოსია, რისგამოც ქერქს და ნაყოფს ხმა რობენ ციებ-ცხელების და ჭიის წინააღმდეგ, ხოლო ფოთოლს



— ქარების წინააღმდეგ. ხე ცოცხლობს სამას წლამდის. მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო თესლი ამოდის მეორე წელიწადს დათესვის შემდეგ.

პირველობი, გურია-ხევი, სარო (ჩიპარისე).

ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ნაყოფით და ტოტების აგებულობით. გარდა ამისა ზოგი იზრდება სიმაღლით ალვის ხის მსგავსათ, ამის სთანა ჯურის უწოდებენ რუსულად პირამიდალური კვიპაროზი. მეორე ჯური იზრდება სიგანეზე, როგორც სხვა ხეებს, ტოტები გადაფენილი აქვს აქეთ-იქით, ამისთანა ჯურის უწოდებენ გორიზანტალური კვიპაროზი. ეს ორივე ჯური მცენარეები ზამთარ-ზაფხულ-მწვანე ფოთლებშია შემკული, რის გამო მათ რგავენ ეზოებში, ყვაველნარებში და ბალების გარშემო შნოს და ლაზათის გულისათვის. აქვს კაკლის ტოლა მწვანე ნაყოფი, რომელიც სავსეა თესლებით, ნაყოფი და თესლი დამწიფებამდე მწვანე ფერისანი არიან, ხოლო როდესაც ნაყოფი დამწიფდება, მუქ-მოწითალო ფერს იღებს. თესლი პრტყელი მოყვანილობისაა, ხელით გასრესილ ნაყოფს და ნორჩი ყლორტებს და ფოთლებს ასდის საკმელის სუნი, ამისათვის მას ზოგიერთ ადგილებში უწოდებენ სახელიად „საკმლის ხეს“. ეს ხეები თბილი ქვეყნებისაა, ამისათვის კველგან, მეტადრე ცივ ადგილებში სრულებით არ გვარობენ, უყვართ მშრალი და ფხვიერი ნიადაგი. როგორც გამძლე და მაგარი ხე, მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. ჰყვავის ყვითლათ, მცენარე ერთ სახლობიანია (одно-домное), ცოცხლობს ორი ათას წლამდის, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

ლაფანი (Апина).

ეს ხე არაფრით არ ერჩევა კაკლის ხეს, ხოლო ირჩევა იმით, რომ მას მოაქვს უვარვისი ნაყოფი, საჭმელიად არ ვარა



გი, ამისათვის თაორებს დაუტქმევით იალან ყოზ (მატყუარა კაკალი). გარდა ამისა ამ ხეს აქვს ვიწრო და მოგრძო ფოთლები და არა მსხვილი და რგვალი, როგორც ნამდვილ კაკალის ხეს. ამ ხეს უყვარს ჭაობიანი აღგილები, კარგათ გვარობს ზაქათალის და ნუხის მაზრებში, კახეთში ალაზნის და სხვა წყლების ნაპირებზე; ლაგოდეხილგან დაწყობილი ზაქათლამდისინ ამ ხეებიდგან შესდგება დიდი ტყეები, ასე რომ დიდი ჩრდილების გამო, ამათში ვერ უხეირნიათ სხვა მცენარეებს. გარდა ზემოთ აღნიშნულ აღგილებისა ეს ხეები კარგათ გვარობენ გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და აფხაზებიში. ამ ხეს მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, სხვათა შორის მისგან აკეთებენ: ნავებს, კასრებს, წისქვილის ლარებს, ვარცლებს, ხონჩებს, სადღობლებს და ქერქს კი ხმარობენ ვენახებში ვაზის ასახვევათ. მდაბიო ხალხი, მეტადრე რუსები, მის ქერქით ამოასხმენ ქალამნებს. კახეთში და ზაქათალის მაზრაში მისგან აკეთებენ მშვენიერ ხოკრებს. ცოცხლობს ორას წლამდის. მის გამხმარ დანაყილ ფოთლებით იქერენ თევზებს, რაღანაც, როგორც ამბობენ, როცა ფოთლების ფხვნილს ჰყრიან წყალში (რა თქმა უნდა, სადაც თევზი იცის), თევზები ეხვევიან, ჰყლაპავენ ფხვნილს, ითვრებიან და ცოტა ხნის შემდეგ წყალი მოიტივტივებს თევზებსაო. ამისთანა წესით თევზების დაჭრა ეხლა აკრძალულია მთავრობისაგან. ლაფანი მრავლდება თესლით და ფესვების ბლარტებით.

ლობიოს ხე (Akaçia ნელაյ).

გვარობს ყველგან, მას არ ეშინიან არც სიცივისა, არც სიცხისა, ხოლო უყვარს ხმელი და ქვიშიანი აღგილები. ლობიოს ხეს ასე იმიტომ უწოდებენ, რომ მისი სათესლე პარკები სწორედ ლობიოს პარკებს ჰგავს, მეტადრე ახალი ნორჩი პარკები ძნელად ერჩვევა ფიჩხის ლობიოს პარკებს; პარკები სანამ შემოვა მწვანე ფერისაა, როცა შემოვა იღებს მუქ მოწითალო ფერს, პარკები სავსეა წვრილი შავი თესლებით. რა



დგანაც ამისი თესლი მაგარი კანისაა, ამისათვის დათესვის დროს უნდა გადაავლოთ მდუღარე წყალი, რომელიც ულბობს კანს და მაშინ მალე ამოვა. ყვავილი მისი მტევნის მსგავსიდ მოგრძელოა და თეთრი. მის ყვავილით ძალიან სარგებლობს ფუტკარი, ამის გამო ვინც მისდევს ფუტკრის მოშენებას, იმან უეჭველად თავის მამულში უნდა მოაშენოს ეს ხე, რომლიდანც ისარგებლებს რამდენიმე ნაირად, ჯერ ერთი, როგორც გამძლე და მაგარი ხე, მის მასალას ხმარობენ შენობების ასაგებად, მეორე, ისარგებლებს კიგოთი ვენახში შესაღველათ და მესამეც ყვავილით. ხოლო მან ძალიან იცის ბლარტუბა, ამისთვის ყოველ წელიწადს გაზაფხულობით და შემოდგომით, ბლარტები უნდა ამოილოთ და დარგათ დანიშნულ ადგილებში. როგორც ტოტები, ისე ყლორტები შემოსრულია ეკლებით, ამისათვის მას ხმარობენ ცოცხალი ღოუბების მოსაშენებლადაც. როგორც შნოიანი ხე, თავისი ყვავილებით და ფოთლებით, მას რგავენ ეზოებში და ყვავილნარებში შნოს და გრილოს გულისათვის. ცოცხლობს სამას წლამდინ. მრავლდება თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ამბობენ ტოტებითაცა.

გუბა (დუბა).

ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ფოთლების მოყვანილობით, ფერით, ყლორტებით, ტოტებით, აყვავების დროთი, რკოთი და სხვა; გვარობს ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერ კავკასიაში მთებში, ტყეებში, მხოლოდ მინდვრებში თითო-ოროლა, უყვარს მშრალი ნიადაგი, იზრდება უშველებელი სიმაღლით, სიგანით და სიგრძით. რაკი ვეხები მუხის ცხოვრებას, მეტი არ იქნება ვსტევა ორიოდე სიტყვა სოფელ ძველ-გავაზის (თელავის მაზრაშია) მუხაზე. სოფელ ძველ გავაზის ეკულესის ეზოში დგას ერთი უზარმაზარი მუხა, რომლის სიმსხო (окружность) უდრის შვიდ საჟენს, აქვს ოთხი დიდი უშველებელი ტოტი,

რომლებიც ისე წასულა აქეთიქით სიგანეზე, რომ თითო ტოტს უჭირავს დადა კალოს ტოლა ადგილი, ხოლო ერთი ტოტი აბჯენია თითონ ეკლესიას. მთელი სოფლის ხალხი— კაცი, დედოფაცი, ყმაწვილები ეტევა ამის ჩრდილში. ეს მუხა აძლევს ლაზათს და შნოს ამ სოფელს, ეს ხე რომ არ ყოფილიყო, ყველა მხრით ამ სოფელს დაეკარვებოდა შნო და ლაზათი.

მუხას ძალიან დიდი მოთხოვნილება აქვს მთელ დედა- მიწის ზურგზედ, მეტადრე სადაც მისდევენ ვენახების მოშე- ნებას და ღვინის დაყენებას ან ვაჭრობას. მაგალითად, მის მასალით ამხადებენ ღვინის ბოჩკებს და სხვა და სხვა ჭურ- ჭელს, აგრეთვე მის ჭიგოს და სარს ვენახებში უდგმენ ვაზს, რომელიც სძლებს ხუთმეტ და ოც წლამდის. მის დახალულ რკოს ხმარობენ ყავის მაგიერ სუსტი აგებულობის ადამიანე- ბი. რკო შეადგენს აგრეთვე უპირველეს საჭმელს ღორებისა- თვის. ცოცხლობს ორი ათას წლამდის. მუხებში შესანიშნა- ვია ერთი ჯურა მუხა, რომელსაც უწოდებენ სახელად პრო- ბკის მუხას. ეს მუხა იმით არის შესანიშნავი, რომ ოცდა ხუ- თი ან ოცდა ათი წლისა როცა გაბდება, მას აცლიან (ატყა- ვებენ) ქერქს და ამის მერე ყოველ რვა წელიწალში ერთხელ იმეორებენ იმავე ხიდამ ქერქის გაცლას; ამ ქერქიდამ ქარს. ნებში აკეთებენ პრობკებს. ამისთანა მუხა ბევრი არის ყირი- მში. აქ იალტაში, საიმპერატორო ნიკიტის ბაღის შეგირდე- ბი აცლიდნენ ამ მუხებს ქერქს და მისი შემწეობით სწავლო- ბდნენ ცურაობას ზღვაში. საზოგადოთ ყველა მუხა მრავლ- დება: თესლით—რკოთი, გაზაფხულობით და შემოდგომით. მუხის ქერქში ნახარშს წყალს ხმარობენ კბილების და ღრძი- ლების გასამაგრებლად. როდესაც კაცს სტკივა ღრძილები, მაშინ ნახარში წყალი დღეში რამდენჯერმე უნდა დაიგუბოთ პირში ან რამდენჯერმე გამოირცხოთ პირი.

ჩავი, ჩატკათა, ცირცელი (Рябина).

გვარობს მარტოკა პატარა კავკასიის მთებში (ვъ хреб- თахъ Малаго Кавказа), ტოტები და ყლორტები მუქ-მომ-



წვანო ფერისა აქვს, რომლებიც შემოსილი არიან დიდგულის ყვავილების მსგავსი მოთეთრო ყვავილებით, ნაყოფი მსხვილი საფანტის ტოლა ყვითელ-მოწითანო აქვს. ნაყოფით ამზადებენ: ძმარს, არაყს და სხვა და სხვა სასმელებს. ახალი ნაყოფის წვენს ხმარობენ სისხლის ფაღარათობის წინააღმდეგ (противъ кроваваго поноса). მის მასალას ხმარობენ საღურგლოში სხვა და სხვა იარაღების გასაკეთებლად. როგორც შნოიანი და ლაზათიანი მცენარე, მას რგავენ ყვავილნარებში და ბალებში. მრავლდება ოქსლით და ფესვების გაყოფით.

ჭორი, ტირიზი, ნერგი, ზენცი (Ива).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ფოთლების, ტოტების და ყლორტების ავებულობით, ფერით და სხვ. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, უყვარს წყლიანი ადგილები, უწყლოთ მას მაღე ესპობა სიცოცხლე. ამის გამო, როდესაც რგავენ ბალების გარეშემნერგებით, უეჭველად წყალი უნდა ჰქონდეს მიშვებული, თუ ყოველ დღე არა, კვირაში ერთხელ მაინც. შნოიანი მცენარეა, მაგრამ ყვავილის დროს მეტად აბეზრებს აღამიანს, რა დგანაც მისი თეთრი და სუბუქი ყვავილი ბუმბულივით ეფინება ყველგან, რის გამო ეს მცენარე არას დროს არ უნდა დაირგას ეზოში შენობებთან ახლო, რომლის ყვავილითაც ივსება ეზო, ოთახები და დერეფნები და ძნელია მისი მოშორება. მის მასალას მეურნეობაში ხმარობენ სხვა და სხვა იარაღების მოსამზადებლად. ახალგაზდა ყლორტებით სწნავენ: კალათებს, გოდრებს და საბუდრებს, მაგრამ ყველაზე გამოსადეგი მისი ჭიგოა. მანამ ჭიგოს შეუდგამდეთ ვაზს ან სხვა მცენარეს, ჯერ ქერქი მოაშორეთ (გაატყავეთ), მერე რამდენიმე დღე გაახმეთ მზეზე და ისე შეუდგით ვაზს. გაუქერქავირომ შეუდგათ, ჭიგო ფესვებს გაიდგამს და ძირიდგან ამოიხეთქავს ყლორტებს, რომლებიც დაუშლიან ვაზს გაზრდას. მრა-



ვლდება: ტოტებით და ფესვების გაყოფით გაზაფხულობით
და შემოდგომით.

პურალლის ცოცხა, ჟუზხუნა (Ракитникъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთშანერთში ფოთლებით, ყლორტებით, ტოტებით, მცენარის აგებულობით, ზოგიერთს კიდევ ასხია წვრილი ეკლები. მცენარე გვარობს ზოგიერთ აღგილებში, მთებში და ტყეებში, იტანს ყველა ნიადაგს. ჰყვავის ყვითლად, ყვავილი მტევნის მსგავსია, მოგრძელოა, როცა აყვავდება, იკეთებს წვრილი ლობითს მსგავს პარკებს, რომლებშიაც ისახება პრტყელი მოშვერთესლი. მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი; როგორც გამძლე და მაგარი ხე, მის მასალის აქვს დიდი მოთხოვნილება მეურნეობაში, მეტადრე ჭიგოს. როგორც შნოიანი და ლაზათიანი მცენარე, მას რგავენ ყვავილნარებში და ეზოებში. მრავლდება: თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით.

გურანი, თხევლა (Ольха чёрная).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველგან, ოლონდ უყვარს ნოტიო ადგილები, ამისათვინ ამ ხეს უფრო შეხვდებით მდინარე წყლის ნაპირებზე და ჭაობიან აღგილებში. როგორც თვითონ ხე, ისე ტოტები და ყლორტები შავ-მოწითალო ფერისაა, აქვს რგვალი, მწვანე და ძარღვიანი ფოთლები, საყვავილე მოშვერთ ფერისა აქვს, აგებულობით კი ჰყავს თხილის საყვავილეს (მტევნის მსგავსია). თითონ ხე ფუყია, ამისათვის ხმარობენ საოჯახო იარაღების მოსამზადებლად. მას გალითად, მის მასალით აკეთებენ: ხონჩებს, თაბახებს, ფილებს, ვარცლს, საღლობელს, ფუტკრის გეჯებს და წისქვილის ღარებს. მის ნახშირს ხმარობენ თოფის წამლის მომზადებაში, მის მოხარულულ ფოთლების ცივ წვენს ხმარობენ ყელის ტკივილის წინააღმდეგ (ამ წყლით დრო გამოშვებით უნ-



და გამოირეცხოთ ყელი). მრავლდება ბლარტებით და ოქს-ლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

ნაძვი, ელატი (Ель).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერ-თმანეთში: ფერით, ფოთლების, ტოტების და ყლორტების აგებულობით. გვარობს ბათუმის ოლქში, გურიაში, იმერეთ-ში, სვანეთში, ახალციხეში, ბორჯომის და აბასთუმნის მთე-ბში, აგრეთვე ყირიმში. როგორც შნოიანი და ოვალ-საჩინო ხე, მას ყველგან რგავენ ბაღებში და ყვავილნარებში; ეს ხე ზამთარ-ზაფხულს მწვანით არის შემოსილი, ისხამს მოგრძელო და ძვალივით მაგარ ნაყოფს, რომელშიაც იმყოფება მოწითა-ლო მაგარ-კანიანი თესლი, და ამ მაგარ კანიან თესლებში იმ-ყოფება ნამდვილი თესლი, საიდამაც ისახება მცენარე, მის მა-სალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. ყველა ამ ჯურა ხეების ნაწილებში არსებობს ფისი ანუ წებო (смола), რის გამო იწვის სხვა ხეებზედ კარგათ, ოლონდ ნახშირს არა სდებს. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

ნაძმრჩხალი (Кленъ полевой).

ოცამდისინ სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩევიან ერთმანეთში ფოთლების, ყლორტების და ტოტების აგებუ-ლობით, ფერით, აყვავების დროთი, ფოთლების სიმსხოთი და სხვა. მას არ ეშინიან სიცივისა, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, მთებში, ტყეში და მინდვრებში; ოლონდ უყვარს ცოტა ნოტიო ადგილები. ეს ხე იმით არის შესანიშნავი, რომ მისი მწვანე ყვავილი ისახება იმავე დროს, რა დროსაც იშლება და ისახება ფოთოლი. როგორც მაგარი ხე, მის მა-სალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, მეტადრე სა-დურგლოებში. ცოცხლობს დიდხანს, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.



უთხოვარი, ურთხლი, საჯი (Негной, Тисъ).

ეს ხე გვარობს მოელს კავკასიაში, მითი შედგება დიდ-რონი ტყეები გურიაში, აფხაზეთში, შავი-ზღვის ოლქში და ყირიმში, ხე ზამთარ-ზაფხულ შწვანეა. როგორც მაგარი და გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, მეტადრე სადურგლოებში. როგორც შნოიანი ხე, მას ხშირად რგავენ ყვავილნარებში და ბალებში, მისი ახალი ყლორტები და ფოთლები შხამიანია, რის გამო ცხენებს ძალიან ავნებს თუ შეჭამეს ფოთლები და ყლორტები. ხე ცო-ცხლობს დიდხანს, მრავლდება თესლით და გადაწვენით, გა-ზაფხულობით და შემოდგომობით; ოლონდ თესლი ამოდის მეორე და მესამე წელიწადში დათესვის შემდეგ. თესლიდან ამოსული მცენარეები უნდა დაიჩრდილოს, რადგანაც მზის შუქი ძალიან ვნებს ქორფა მცენარეებს.

რცხილა, რცხმალა, ცხიმური (Грабъ).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველგან ტყეში და მინდვრებში, კარგათ იტანს ხმელ ნიადაგს, ამისათვის კა-რგათ გვარობს ურწყავ ადგილებშიაც. მის გასალას დიდი მო-თხოვნილება აქვს მეურნეობაში; როგორც შეშა, ისე მისი ნახშირი განთქმულია, მის ნახშირს ხმარობენ თოფის წამლის ქარხნებში. მის ჭიგოს ხმარობენ ვენახებში, ხოლო მალე ლპება და დიდხანს ვერა სძლებს, ამისათვის, მე ჩემის მხრით არ ვურჩევ ჩვენს მემამულებს იხმარონ ჭიგოთ, რა თქმა უნდა თუ იშოვება სხვა მაგარი ხე. ცოცხლობს სამას წლამდი-სინ, მრავლდება თესლით შემოდგომით და გაზაფხულობით.

სოჭი, ჩიხრი (Питха Кавказская).

გვარობს ყველგან, ამ მცენარით დიდი ტყეები შესდგება შავი ზღვის ოლქში, აფხაზეთში და ქუთაისის მაზრაში. გა-რდა ამისა ამ მცენარით შემკულია აჭარის და იმერეთის მთე-



ბი, ქობლიანის ხეობიდან (ახალციხის მაზრაში) დაწყობილი თითქმის გორის მაზრამდისინ, უყვარს ნოტიო ნიადაგი. ეს მცენარე იმით არის შესანიშნავი, რომ ზამთარ-ზაფხულს მწვანით არის შემკული, ამისათვის როგორც შნოიანი და თვით-საჩინო ხე, მას ხშირად რგავენ ეზოებში და ყვავილნარებში. ცოცხლობს ხუთას წლამდის, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

ფიზი (Сосна).

ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველგან მთებში, ხრიოკ ადგილებში. ამ მცენარიდან შესღება დიდრონი ტყეები ჩრდილოეთ კავკასიაში, გარდა ამისა ბევრია აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ბორჯომის, აწყურის და აბასთუმნის ხეობებში (ახალციხის მაზრაში).

მცენარე ზამთარ-ზაფხულ შემკულია მწვანე ფოთლებით, მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, მაგალითად, ხმარობენ გემების და სხვა-და-სხვა შენობების ასაგებად. ზოგიერთ ქვეყნებში ხმარობენ შეშათ, მაგრამ როგორც მის შეშას, ისე ნახშირს არა აქვს ბარაქა, შეშა ისე დაიწვის, რომ სრულებით ნაცრად იქცევა ხოლმე, ასევე ნახშირი, ერთი შუათანა სამოვარის ასალულებლად მთელი გირვანქა ნახევარია საკირო. რადგანაც ამ მცენარის ყველა ნაწილი შესდგება ფისისაგან (смола), ამისათვის მის კვარს ოჯახებში (მდაბიო ხალხი) ხმარობენ სანთლის და ლამფის მაგიერ, კვარს დასკრიან წვრილად სანთლის სიგრძეთ და ისე მოუკიდებენ, რომელიც დიდხანობამდისინ იწვის სანთელივით, ამისათვის თათრულად ეწოდება სახელიად შამ (სანთელი). როგორც შნოიანი და თვალ-საჩინო ხე, მას რგავენ ყვავილნარებში და ეზოებში. მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

მრისტის-ხი (Гледичія).

გვარობს ყველგან, მეტადრე ლენქორანის მაზრაში, სხვა



მცენარეებივით არ არის ნაზი, არ ეშინიან არც სიცივისა და არც სიცხისა, უყვარს ხმელი და მშრალი ადგილები, ამისა-თვის მას, როგორც ლობიოს ხეს, ამრავლებენ ურწყავ ადგი-ლებში. ხე მეტის-მეტად გამძლეა და მაგარი, ამისათვის მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, მეტადრე მის ჭიგოს, რომელიც შეადგენს პირველ მასალას ვენახები-სათვის, ჰყავის მწვანე მოყვითალოდ, მისი ყვავილით სარგე-ბლობს ფუტკარი. ისხამს ნახევარ არშინის ოდენა და თითქ-მის ერთი გოჯის სიგანისა ლობიოს მსგავს დიდრონ მსხვილ პარკებს, რომლებშიაც იმყოფება ათამდისინ პრტყელი და შე-მოუსვლელი ხურმის ფერის მაგარ-კანიანი თესლები *). ხე მთლად შემკულია სხვილი და დიდრონი ეკლებით, რის გამო ეს მცენარე ითვლება პირველ მცენარეთ ცოცხალ ღობების მოსაშენებლათ. ცოცხლობს დიდხანს, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

ცაცხლი. (ლიპა).

ძალიან ბევრი სხვა-დასხვა ჯურისაა, რომლებიც ირჩე-ვიან ერთმანეთში ფოთლების და ყლორტების აგებულობით და აყვავების დროთი, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგ-ზედ ტყებში და მინდვრად, როგორც ზაქათლის ოლქში, ისე კახეთში ამ ხეებილგან შესდგება დიდრონი ტყეები. როგორც გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს, მაგალითად, მის ქერქით რუსეთში ამზადებენ ქალამნებს და ჭილობებს, ზაქათლის ოლქში და კახეთში კი—კალათებს და ხოკრებს. თითონ ხიდამ ამზადებენ: ვარცლებს, ხონჩებს, სკებს და წისქვილის ღარებს. შეშათაც კარგია, მაგრამ მის ნახშირს არა აქვს ძალა, ამისათვის მას უფრო ხმარობენ თო-ფის წამალში. ჰყავის თეთრათ პატარ-პატარა მტევნებით, მი-

*) დასათესად თესლები უნდა დაიმდუღროს მდუღარე წყალში და მერე უნდა დაითესოს, მაშინ თესლი ამოდის ორი-საში თვით ადრე.



სი ყვავილი შეადგენს ფუტკრის საზრდოს, გარდა ამისა მის ყვავილს აფთიაქებში აქვს დიდი მოთხოვნილება, ხმარობენ ჩაის მაგიერ გაცივების წინააღმდეგ. მის თესლით ამზადებენ ტკბილ ზეთს, ნუშის ზეთის მსგავსს, რომელსაც ხმარობენ საჭმელში და ლამპრებში დასაწვავათ. როგორც თვალ-საჩინო და კარგი ჩრდილოვანი ხე, მას დიდი სიამოვნებით რგავენ ეზოებში და ყვავილ-ნარებში.

ხე ცოცხლობს ათას წლამდისინ, მრავლდება პატარ-პატარა ტოტებით და თესლით, გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო დათესით ხშირად უნდა დაითესოს, რადგანაც მათში ბევრი გამოდის ცარიელი და უვარგისი.

ცხენის წაბლი (Каштанъ конскій).

ამ მცენარეს ჩვენში შეხვდებით მარტო გამოჩენილ და სახელოვან ბალებში, მინდვრათ ვერსად ვერ ნახავთ, მაგრამ ყირიმში კი ძალიან მისდევენ ამ მშვენიერი მცენარის გამრავლებას. ეს მცენარე იმით არის შესანიშნავი, რომ ჰყავის მშვენივრად, ვარდის ფრათ, მისი ყვავილი ყურძნის მტევნების მსგავსია, დიდრონი, ოლონდ მტევნებივით არა ჰკიდია ტოტებზედ, არამედ ყვავილები მაღლა აშვერილია, გეგონებათ ტოტებზედ თაიგულები დაურიგებიათო, ყვავილს აქვს მშვენიერი სუნი. ნაყოფი პარკებშია შემკული წაბლივით, ხოლო გარედან პარკებს არა აქვს იმისთვის საშიში ეკლები, როგორც წაბლის პარკებს. თუმცა ამ მცენარის პარკებიც ჩხვლეტამენ იდამიანის ხელს, მაინც და მაინც ისე არ არის საშიში. როდესაც პირკებში ნაყოფი (წაბლი) შემოვა, პარკები გაუსქდება და ნაყოფი ძირს ცვივა. ამ მცენარის ნაყოფი (წაბლი) ისე ჰგავს ნამდვილს წაბლს, რომ იდამიანი თავის დღეში ვერ გაარჩევს ერთმანეთში, თუ გემოთი არ ნახა. ეს წაბლი მწარეა ბალდამივით, სხვაფრივ კი — აგებულებით, ფერით, როგორც გარევნობით, ისე ნაყოფით ნამდვილი წაბლია. ამის სათვის ყირიმში ამ წაბლის მყიდველნი სასტიკათ ყურადღე-

ბას აქცევენ იქაურ ვაჭრებს, რომ ნამდვილ წაბლში არ გაუ-
რიონ ცხენის წაბლი. ვინც კარგათ დახელოვნებულია, ვისაც
კარგათ შესწავლილი აქვს ამ წაბლის აგებულება, იმას შეუძ-
ლიან გაარჩიოს იმითი, რომ ეს წაბლი ცოტათი მომრგვა-
ლოა, სიპრტყე არა აქვს ჩვენებურ წაბლივით, თუმცა ჩვენე-
ბურ წაბლშიაც ბევრს შეხვდებით მომრგვალო აგებულები-
სას; რომ კაცი არ მოტყუვდეს, სჯობია ნახოს გემოთი და
ისე ევაჭროს. როგორც გამძლე ხე, მას მეურნეობაში აქვს
დიდი მოთხოვნილება. ხე იზრდება სიმაღლით კაცლის ხის
ოდენა, ფოთლებიც ჩვენებური წაბლის ფოთლების მსგავსი
აქვს, ოღონდ მოგრძელოა და ერთნაირი, ე. ი. გარეშემო
ამოჭრილი არ არის ჩვენებური წაბლის ფოთლებივით.

მცენარე ცოცხლობს დიდხანს, მრავლდება თესლით გა-
ზაფხულობით და შემოდგომით.

ძელი (დვერა).

გვარობს ამიერ კავკასიაში, ქუთაისის გუბერნიაში, იმე-
რეთში, სამეგრელოში ყველა ნიადაგზედ, მაგრამ ნოუიერ ნის
ადაგზედ იზრდება უზარ-მაზარ, ხედ, ასე რომ სიმსხოთი საექნ-
ნახევარამდის იზრდება და სიმაღლით ოც საექნამდისინ. რო-
გორც მაგარი და გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში დი-
დი მოთხოვნილება აქვს. მისი ფოთლები და ნაყოფი ერთი
შეხედულობით აკაკის ხის აგებულებას ემსგავსება, ხოლო ძე-
ლქეას აქვს წვრილი ნაყოფი და ვიწრო მოგრძელო ფოთლე-
ბი, ხე ცოტათი მოთეთრო ფერისაა, ასე რომ ერთი შეხედუ-
ლობით წიფელსა ჰგავს. ცოცხლობს ორას წლამდისინ, მრა-
ვლდება თესლით და ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდ-
გომიბით.

ნიზელი (Букъ).

გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, როგორც ჩრდი-
ლოეთ კავკასიაში, ისე იმიერ კავკასიაში, ოღონდ უყვარს უფ-



რო ნოტიო და ნოყიერი ადგილები, ამისთვის ამ ხეებისაგან კუნძული შესდგება დიდრონი ტყეები; გარდა ამისა დიდრონ ტყეებს შეხვდებით ახალციხის, თრიალეთის და ბათომის ოლქის მთებში. ეს ხე იმით არის შესანიშნავი, რომ ყველა ხეებზე სწორე და მაღალი იზრდება და ტოტები ამ ხეს ეწყობა რვა-ათ საჟენის სიმაღლიდამ მიწიდგან, ასე რომ მისი ტიტველა ღერო თავის მოთეთრო ფერით ამშვერიერებს, ე. ი. ლაზათს და შნოს აძლევს მთელს მდებარებას. არც სიმსხოთი დაუვარდება ძელქვას და ჭანდარს, ზოგიერთ ხეს თითქმის საჟენზედ მეტი აქვს სისქე.

როგორც გამძლე და მაგარი ხე, მის მასალას მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს და არც მის ნაყოფს აქვს ნაკლები მოთხოვნილება, მაგალითად მის ნაყოფით ჰკვებამენ ღორებს, რომელსაც იმისთანავე სინოყივრე აქვს, როგორც მუხის რკის ან სიმინდს. ჩვენი კახეთის მელორეები მაშინ არიან ბედნიერნი, როცა წიფელს დაუდგება კარგი ამინდი და მოისხამს ბევრს ნაყოფს, უიმისოთ-კი ყურებ-ჩამოყრილები დადიან, დარდისაგან მათ ეკარგებათ ყველა ხალისი და იმედი. მისი ნაყოფი და პარკები იმისთანავე ფერისა და აგებულებისაა, როგორც წაბლის ხისა, ოლონდ ნაყოფი და პარკუჭები გაცილებით წვრილია და ნაყოფი გემრიელი, ასე რომ ადამიანებიც შეექცევიან. ხე ცოცხლობს სამას-ოთხის წლამდისინ, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

ჭანდარი (Чинаръ).

გვარობს ზოგიერთ ადგილას, მინდვრად, მაგრამ ტალიშის მთებში დიდრონი ტყეებია ამ ხეებისგან შემდგარი, იზრდება ყველა ხეებზედ მაღლა და მსხვილი, მაგალითად, ს. ვართაშენში, ნუხის გაზრდაში, მე თითონ მინახავს იმისთანა უზარმაზარი ჭანდარი, რომელსაც აქვს 40 საჟენი სიმაღლე და ორ საჟენამდისინ სიმსხო. გარდა ამისა იმავე ხეს აქვს რამდენიმე დიდრონი ტოტი, რომლებსაც უჭირიათ თითოს ორი კალოს



ოდენა აღვილი. ხოლო თელავშიაც არის ერთი ხე, რომლის
ლეროს აქვს ხუთ საუენამდის სისქე გარშემო. როგორც ლერო,
ტოტები და ყლორტები, ისე მისი ფოთლები მოთეთრო ფერი-
სანი არიან და თავისი მშვენიერი აგებულებით და შეხედუ-
ლობით ამშვენებენ ბაღებს, ეზოებს, ამისათვის მას რგვევ
მარტო შნოს, ლაზათის და ჩრდილის გულისათვის, ჭანდარს უყ-
ვარს ნოტიო ადგილი, ამიტომ, ვისაც სურს ამ მშვენიერი
ზის მოშენება, იმან ამ ხეს არ უნდა მოაკლოს წყალი.

ცოცხალი ღობების გაკვთება.

რადგანაც ჩემს წერილში ხშირად ვიხსნენიებდი ცოცხალ
ლობებისათვის გამოსადეგ მცენარეებს, ამიტომ აქ საჭიროდ
მიმანია ვსთქვა ორიოდე სტყვა ცოცხალ ლობების მოშე-
ნებაზედ. ყველა ჩვენი საქართველოს მემამულები დამეთანხმე-
ბიან იმაში, რომ ჩვენ საქმისათვის თავი ვერ დაგვიდვა, ვერ
ვახერხებთ საქმის გაუმჯობესობას; ჩვენ მამა-პაპიდგან დაწყებული
დღვევანდლამდისინ, ყოველ წელიწადს მოვსდევთ ლობების
შეკეთებას და გაახლებას ერთი-ორი თვისთვის, ე.ი. შემოღომამდი-
სინ, როდესაც ჭირნახულს მოაგროვებენ და შემდეგ კი სტოვებენ
საქონლის სინაბარას, რომელიც ზამთრის განმავლობაში კაცისა-
გან შეკეთებულ ლობებს ფეხით ასწორებენ დედამიწასთან და
გაზაფხულობით ისევ სულ ახალად აახლებენ და ამ გვარად ყოველ
წელიწადს იმეორებენ იგივე ერთ საქმეს. აქედამ ცხადათა
სჩანს, რომ ჩვენში დიდი ღრო გავა, მინამ ხალხში ჩაინერგე-
ბა იმისთანა მამულის სიყვარული, როგორც ჩანერგილია საზ-
ღვარ გარეთ ქვეყნელებში. გასაკვირი ის არის, რომ ჩვენში არ
იციან, არ გავრცელებულა კაცის მიბაძვა. თუ მდაბიო ხალხს
არ შეუძლიან თავიანთ ხელ-მოკლების გამო, ეგ სხვა საქმეა,
მაგრამ რომ შეილებულებაც არა აქვთ ჩვეულებად საქმის გან-
ხორციელებისა! ჩვენში ორი მემამულე არ მოიპოვება, რომ მას
წესიერად ჰქონდეს დაყენებული მეურნეობა, ეს იმიტომ, რომ
მათ არა სწამო მცოდნე კაცების დარიგემა, მსწავლულმა რომ



უქადაგოთ, აი ესეა საქმე, ესე უნდა გაკეთდესო, იმათ სიტილათ არ ჰყოფნით ხოლმე, მაშინვე იმას იტყვიან, თუ პაპა ყვენი და მამა ჩვენი ასე არ აკეთებდათ, იმიტომ კარგი მოსავალი არ მოსდიოდაო!.. ისენი იმას კი აღარ ფიქრობენ. რომ რამდენიც დრო მიდის, უმდენი მიწას სინოყივრე ელევა, იმდენადვე მას უჩნდება აუარებელი მწერი. რა თქმა უნდა ამისთანა აუარებელ სენს შველა უნდა, მაგრამ ვინ უნდა უშველოს, როდესაც, შვილები მისდევენ მამა-პაპის გზას, ჩვეულებას. რომ ჩვენ უსწავლელობით არ მოვგვივიდეს მეტი ხარჯი, ამისთვის მე ვეცდები ავუსტინა მკითხველებს, თუ როგორ უნდა მოშენდეს ცოცხალი ღობე, რომ შვილი-შვილებამდის არ უნდოდეს შეკეთება ყოველ წელიწადს უბრალო ღობესავით.

ცოცხალი ღობების მოსაშენებლად ყოველთვის ხმარობენ ეკლიან მცენარეს, რომ კიცს ან საქონელს ვერ შეეძლოს მისი გადაღლახვა. ამისთანა მცენარეებს ეკუთვნიან: ქრისტეს გვირგვინა, კუნელი, ფშატი, ზღმარტლი, კოწახური, ღობის ხე, ქაცვი, ძემვი, კვრინჩხი და მაყვალი. ამ ზემოთ ჩამოთვლილ მცენარეებში უპირატესობა უნდა მივცეთ პირველ ხუთ ჯურა მცენარეს. მართალია, ეს მცენარეები თუმცა ნელა იზრდებიან მეორე ხუთ ჯურა მცენარეზედ, მაგრამ ამათ არ იციან ბლარტობა და მამულის დაჩავრა. მეორე ჯურა მცენარეები კი თუმცა სამი წლის განმავლობაში ისე თამამდევან, რომ ადამიანს და საქონელს მაზე გადასვლა არ შეუძლიათ, მაგრამ ბლარტობა ძალიან იციან და ამიტომ, თუ კაცმა დრო-გამოშვებით არ უგდო ყური, იცოდეთ, რომ მოკლე ხანში მთლად მოედება მამულს*).

*) დიდონ ქალაქების ახლო, სადაც მუდამ კარგი ფასი აქვს მაყვლის ხილს, ჩვენ ვამჯობინებთ მამულის გარშემო თხრილის შემოვლას და შიგნით მამულში დაყრილ მიწაზე მაყვლის ცოცხალი ღობის ვაკეთებას. თბილისიდამ სამ ვერსხედ, საბურთთალოს მინდორზედ მე გავუჟეთ ასეთი ღობე ათ დასხეტინა მიწას და 1500 მაყვლის ძირის მორანა და დარგვა მარტო 15 მანეთი დამიჯდა, ე. ი. თითო კაპეიკათ ძირი. ივ. როსტომაშვილი.



ცოცხალი ღობე შენდება ამ გვარად: ჯერ პირველად
იმ ადგილას, სადაც აპირებთ ღობის გავლებას უნდა მოსთ-
ხაროთ არხები ერთი არშინი სიგანით და ნახევარი არშინი
სიღრმით, მაგრამ სიგანე და სიღრმე არხებისა დამოკიდებულია
ნიადაგზედ; ნოყიერ და ფხვიერ მიწაზე არხები უნდა
მოითხაროს ნახევარი არშინის სიღრმეზედ და ერთი სიგანეზე,
ხოლო ქვიან და მაგარ მიწაზედ კი თორმეტ ვერშოკ სიღრ-
მეზედ და ხუთ ჩარექზედ სიგანით, დარგვით კი შეიძლება დაირ-
გას სამ ჩარექიდგან დაწყებული ერთი არშინის სიშორეზედ,
ე. ი. თითო არხში ორ პირად, ორ რიგად, თითო რიგში
ერთი მცენარე მეორეს უნდა შორავდეს ნახევარ არშინითა
და ჭანდრაკის (ჭახმატის) წესზე. გადასარგავი მცენარეები უნდა
ამოილოთ სიფროხილით, რომ ნორჩ მცენარეებს ჩინჩლა (მწო-
ვარა) ფესვები არ დააწყედს. რამდენიც მცენარეს ექნება მო-
მეტებული მწოვარა ფესვები, იმდენათ მალე გვარობს და ღო-
ნივრად იზრდება, და რამდენიც ნაკლებათ იქნება ჩინჩლა
ფესვები, იმდენათ სუსტათ და ულონთ იზრდება. მიწიდგან
ამოლებულ მცენარეებს კენწერი უნდა მოეჭრას ისე, რომ და-
რგულ მცემარეს მიწას ზევით ორ-მტკაველზედ მეტი არა
ჰქონდეს ამოშვერილი ღერო. ცოცხალი ღობის მოშენება შე-
იძლება შემოდგომით და გაზაფხულობით, ხოლო სადაც დი-
დი სიცივეები იცის, იქ უნდა დაირგას გაზაფხულობით და
სადაც კა სიცივისაგან შიში არ არის, იმ ადგილებში შემოდ-
გომაზე უნდა დაირგას. როდესაც არხები შზათ გექნებათ, მა-
შინ აიღეთ მცენარე, ჩაწყეთ არხებში ორ რიგად ჭანდრაკის
წესზე, ასე რომ როგორც ზემოთა ვსთქვით ერთი რიგის მცე-
ნარეები მეორე რიგის შუა მოდიოდეს, და ნახევარი არშინის
სიშორეზე ერთი მცენარე მეორეზე, შემდეგ არხები მიწით უნ-
და აივსოს და ფეხით დაილახოს. მთელის ზაფხულის განმავ-
ლობაში ორჯელ ან სამჯერ უნდა გაითოხნოს, და როცა
წყალი დასჭირდება უნდა მოირწყოს 2 — 3-ჯერ. შემოდგო-
მაზე მცენარეებს ფრთხილად უნდა აქტივოს მიწა (შემოება-



(როსლა გიორგობის თვეში ან აღრე გაზაფხულზე უნდა გა-
იკრიქოს, მიწოდან ნახევარ არშინის სიმაღლეზე მაკრატლით.

ამისთანა გაკრეჭით მცენარეებს ემატებათ მრავალი ახა-
ლი ნირჩი ყლორტები, ტოტები, ფოთლები ნაყოფი და
საზრდოება. ცოცხალ ლობეების გაკრეჭისათვის საუკეთესო
დრო თიბათვე და მკათათვეა, იმიტომ, რომ თიბათვეში ყლორ-
ტები ისევ ნორჩია, რა თქმა უნდა, და იდეილად გაიკრიჭება
ორხელა მაკრატლით, მაგრამ თუ ლვინობის თვემდის ან
გიორგობის თვემდის გაუკრეჭავი დარჩა, მაშინ ორხელა მაკ-
რატლით შეუძლებელია მისი გაკრეჭა, ამ შემთხვევაში უნდა
გაიკრიჭოს ბალი ერთხელა მაკრატლით. მხოლოდ ამასაც ვიტყვი,
რომ ლვინობის და გიორგობის თვეში გაკრეჭილი მცენარეები
ზამთრამდისინ აღარ ამოიხეთქვენ ხოლმე ნორჩ ყლორტებს,
რის გამოც მცენარეები უწნებლად რჩებიან, მაგრამ მარიამო-
ბის და ენკენისთვეში გაკრეჭილს მცენარეებს კი ზამთრამდისინ
ამოაქვთ ახალი ნორჩი ყლორტები, რომლებიც რჩებიან შე-
მოუსვლელნი და ამისთანა ნორჩი ყლორტები ზამთრის სიცი-
ვისაგან ძალიან ზარალდებიან; ამისთვის სჯობია მცენარეები
გაიკრიჭოს გაზაფხულზედ და შემოდგომაზედ.

ცოცხალ ლობეებს ჰერეჭავენ ექვს წლამდის, ვიდრე ბუ-
ჩქები არ გათამამდებიან და არ გაერთდებიან (არ გადაებმე-
ბიან) ერთმანეთში. ზომიერ ცოცხალ ლობეს სიმაღლე და სი-
განე უნდა ჰქონდეს ორი არშინი.

როცა ლობე ამ ზომაზედ დადგება, მაშინ ტოტებს თა-
ვის ანაბრად უშვებენ, რა არის იმის ტოტები მემამულეს ჰი-
გოთ გამოადგეს. აქედამა სხანს, რომ მემამულეს ორ-ნაირი
სარგებლობა ექმნება ამისთანა ლობისაგან, ერთი რომ მამულს
გარეშემო მკვიდრი და უკვდავი ლობე ექმნება და მეორეც,
დრო გამოშვებით, სამ წელიწადში ერთხელ, ისარგებლებს
ჰიგოთი. თუ ლობე კოჭახურისა, მაყვლისა ან კვრინჩისაა, მა-
შინ ხილის (ნაყოფის) გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ ეს კი უნ-



და იცოდეთ, რომ აშისთანა ღობეს წესიერი ყურის გდება უნდა, მინამ თავის ღონებელ დადგებოდეს, შემდეგ შიუკი მორწყვის მეტი და გარეშემო ბალახის გამოთიბის მეტი არა უნდა-რა.

აქედამ ცხადათა ჩანს, რომ ცოცხალი ღობე სიიაფით, გამძლეობით, სიმაგრით და სხვაფრივ გამოყენებით (ხილით, ჭიგოთი და სხვა) ისე სასარგებლონი არიან მამულის პატრონებისათვის, რომ არ შეიძლება ჩვენ მემამულეთ არ ვურჩიოთ ამ ღობეების შემოღება და იმედიც გვექნება, რომ ამ წერილის წაკათხვის შემდეგ ბევრნი მიჰქეკვებიან ასეთი სასარგებლივ ღობეების მოშენებას.

თესლის შენახვა.

აქვე საჭიროთ ვსთვლით ჩამოვთვალოთ, თუ რომელი ჯურის ოესლი რამდენ ხანს ინახება და სძლებს მოკრეფის შემდეგ.

ბუჩქების და ხეების ოესლები ათ დღეს ინახება. ტირიფის (წნორის) ოესლი ერთ თვეს ინახება. კრუფოვნიკის, მოცხარის, უოლოს, გარგარის, ქლიავის, შვინდის, ხურმის, ზეთის ხილის, ალუბლის, ცაცხის, დაფნის, ფიკვის, თელის, ჭანდრის, არყის და ღვინის ოესლი სამ თვეს ინახება. წაბლის, კოწახურის, აკაკის ოესლები ექვს თვეს ინახება. ვირის-კუდასი, ბალამწმრის, ბზის, თუთის, ნაკერჩლის, ძეძვის, უთხოვარის, იასამანის, ცხენის-წაბლის, კაკლის, ნუშის, მუხის, თხილის, რცხილის, ვაშლის, მსხლის, ასკილის, კომშის, წიფლის, იფნის და ფათალოსი ერთ წელიწადს ინახება. კიბაროზის, კრაზანასი ცირცელის და კუნელისა ორ წელიწადს ინახება. ქრისტეს გვირგვინასი, ლობიოს-ხის, იუდას-ხის და ბოსტნეულობის ოესლები სამ წელიწადს ინახება. კამის, რუსულ და ქართულ ბაღრიჯნის, ნიახურის, პრასის და კართოფილის ოესლი ოთხ წელიწადს ინახება. სხვა და სხვა ჯურის კომბოსტოს ოესლი ხუთ წელიწადს ინახება. თვის ბოლოკის სხვა და



სხვა ჯურისა ექვს წელიწადს ინახება; ნესვის, მუხუდოს, ლობიოს, სალათის და ზამთრის ბოლოების თესლი რვა წელიწადს ინახება. გოგრის თესლი სხვა და სხვა ჯურის, კიტრის და საზამთროს თესლი ათ წელიწადს ინახება. გარდა ამისა განირჩევა კიდევ თესლეულობის ამოსვლის დროთი. ზოგიერთი თესლი დათესვის შემდეგ ამოდის რამდენიმე დღის შემდეგ, ზოგი რამდენიმე კვირის შემდეგ და ზოგი რამდენიმე თვის შემდეგ. ამისათვის უპირატესობა ჩვენ უნდა მივცეთ იმისთანა ჯურა თესლეულობას, რომლებიც ამოდიან ყველაზე ადრე. თესლი უნდა შეინახოთ გრილ სარდაფში, პარკებით ჩამოკიდული, რომ თაგვებმა არ გააფუჭონ.



უურნალ „გ თ გ ზ ა შ რ ი ს“

რედაქციაში (მექანიკა, № 72) ისეიდება უოველი გა
მოცემა **სტეფანე პონსტანტინეს-ძის**
ზუგალავვილის საფასით დაბეჭდილი და
მათ შორის ასაღი წიგნიც

საუნჯე ავათმყოფის

ანუ

ღმიული და წამლობა ქოველგვარ ივათმ-
ყოვლობათა,



ვასი 35 გავ.

